CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 21 სექტემბერი, 2009 წელი. №204 (2242) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



საარჩევნო კომისიამ ყარზაი გამარჯვებულად გამოაცხადა
A7

დევნილობაში საკუთარ ქვეყანაში - ცხოვრება ომის შემდეგ
A11

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საადაზღვევო ჯგუფი

დასავლეთი რუსეთს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს

ივა შილაკაძე

ნატო-ს ახალი გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი გუშინ ბრიუსელში, კარნეგის ფონდში საპროგრამო სიტყვით გამოვიდა. მისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობებს მიეძღვნა. რასმუსენმა რუსეთს მთელ რიგ სფეროებში თანამშრომლობისკენ მოუწოდა. ეს, პირველ რიგში, ავღანეთის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მიმართ დამოკიდებულებას ეხება.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ნატო რუსეთის მტერი არ არის და სასურველია, თუ ამ თვალსაზრისს რუსეთიც გაიზიარებს. რასმუსენის აზრით, რუსეთთან მეტი თანამშრომლობაა საჭირო, პირველ ეტაპზე - ექსპერტების დონეზე, რათა ერთობლივად განისაზღვროს საფრთხეები, რომლებიც ყველას ემუქრება. რასმუსენმა აღნიშნა, რომ ირანსა და ჩრდილოეთ კორეაში ატომური იარაღის გაჩენამ შეიძლება ამ ქვეყნების ზოგიერთ მეზობელს მიბაძვის სურვილი გაუჩინოს. სარაკეტო ტექნოლოგიების გაუვრცელებლობა ნატო-სა და რუსეთს თანაბრად აინტერესებთ. ნატო-ს თავკაცის აზრით, სასურველია, რომ რუსეთსა და ნატო-ს "პოზიტიური სტრატეგიული პარტნიორობის" დონეზე ჰქონდეთ ურთიერთობები.

გაგრძელება A7 გვერდზე

აშშ-ს თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსი

Coca-Cola პირველია

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ბრენდი არის Coca-Cola. ასეთია კვლევის შედეგები, რომელიც გამოაქვეყნა სააგენტო "ინტერბრანდმა". ეს სააგენტო დაკავებულია ბრენდების შესწავლით. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ის აქვეყნებს მსოფლიოს ასი ყველაზე ძვირადღირებული ბრენდის სიას და მათი ღირებულების შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ძირითადი ბრენდების შეფასება "ინტერბრენდის" მიერ ატარებს გარკვეულად სუბიექტურ და მიახლოებით ხასიათს, ანალიტიკოსების აზრით, ის ყველაზე ზუსტია არსებულ შეფასებებში. მას ფართოდ იყენებენ სხვადასხვა კონსალტინგური კომპანიები ამა თუ იმ კომპანიის შეფასებისათვის.

სიაში წარმოდგენილია 13 ქვეყნის კომპანიის ბრენდები, რომელთა ძირითადი ნაწილიც ამერიკულია.

ახლად გამოქვეყნებულ სიაში ლიდერია Coca-Cola, რომლის ბრენდის ღირებულება შეფასებულია დაახლოებით 69 მილიარდ დოლარად. ქვემოთ მოყვანილია მსოფლიოს ათი ყველაზე ძვირად ღირებული ბრენდის სია.

1. კოკა-კოლა	68,734 ($მ)
2. IBM	60,211 ($მ)
3. მაიკროსოფტი	56,647 ($მ)
4. GE	47,777 ($მ)
5. ნოკია	34,864 ($მ)
6. მაკდონალდსი	32,275 ($მ)
7. გუგლი	31,980 ($მ)
8. ტოიოტა	31,330 ($მ)
9. ინტელი	30,636 ($მ)
10. დისნეი	28,447 ($მ)

სააგენტოს შეფასებით, პირველად, სიის გამოქვეყნების ათი წლის განმავლობაში, სიაში შემავალი ბრენდების ღირებულება შემცირდა 4.6%-ით და გაუტოლდა 1.15 ტრილიონ დოლარს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კრიზისის დროს მომხმარებელმა ნაწილობრივ დაკარგა ბევრი საყოველთაოდ აღიარებული ბრენდის ნდობა.

გაგრძელება A4 გვერდზე

მუხროვანის ამბოხის სასამართლო განხილვა

ხათუნა ჯანგირაშვილი

2009 წლის 5 მაისს, მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარ სამხედრო ამბოხში მონაწილეების სასამართლო პროცესი, ორ დღეში, განსასჯელების დაკითხვით განახლდება. სასამართლოს ჩევენება უკვე მისცა 25-მდე განსასჯელმა. საქმეში სულ 41 განსასჯელია. მათგან 20-მდე სამხედრო, დანარჩენი კი სამოქალაქო პირია. განსასჯელების ინტერესებს 60-ზე მეტი ადვოკატი იცავს.

ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობა, ამბოხების მომზადება-განხორციელება, სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანების დაუმორჩილებლობა, დანაშაულის დაფარვა, დანაშაულის შეუტყობინებლობა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, იარაღის უკანაონოდ ტარება - ასეთია განსასჯელებისთვის წარდგენილი ბრალდებები.

34-მა განსასჯელმა თავი დამნაშავედ ცნო, ორმა - ნაწილობრივ, ხუთმა კი თავი დამნაშავედ არ ცნო. განსასჯელებმა, რომლებმაც დანაშაულში თავი წილობრივ ცნეს დამნაშავედ, განაცხადეს, რომ მონაწილეობა მიიღეს დაუმორჩილებლობაში და არა სამხედრო ამბოხში.

სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის "დელტას" ყოფილი ასმეთაურის, გია ღვალაძის დაკითხვით განახლდება.

გაგრძელება A6 გვერდზე

CMYK - 1

პრობაციონერის მიერ საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთისთვის პასუხისმგებლობა წესდება

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონში ცვლილება შედის. პრობაციონერის მიერ საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთის ან გადაკვეთის მცდელობისთვის პასუხისმგებლობა წესდება. როგორც კანოპროექტის ავტორები აცხადებენ, გასული წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მსჯავრდებულები ხშირ შემთხვევაში უნებართვოდ ტოვებდნენ საზღვარს, რაც შემდგომ მათზე ძებნის გამოცხადების საფუძველი ხდებოდა.

კანონპროექტის მიხედვით, პრობაციონერის მიერ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გარეშე საზღვრის გაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა 500-დან 1000 ლარამდე დაჯარიმდება. სასჯელის ფორმად 30 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობაც განისაზღვრება.

რაც შეეხება პრობაციონერის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვას, მას მისი მიღება გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეუძლია. ამავე კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტს პრობაციონერის მიერ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვისთვის გადახდილი მოსაკრებელი მოაკლდება. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოდ ყალიბდება, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება. პრობაციონერის მიერ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვისთვის გადახდილი მოსაკრებელი, რომელიც არსებულთან შედარებით იზრდება, არა სახელმწიფო ბიუჯეტში, არამედ აღნიშნული სააგენტოს ანგარიშზე ჩაირიცხება.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ აღნიშნული თანხა სააგენტოს მიზნებსა და ფუნქციების განხორციელებას მოხმარდება, რაც სამსახურის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესია

28 სექტემბერს სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესია იხსნება. დღის წესრიგის უმთავრესი პუნქტები იქნება კლიმატის ცვლილებისგან მომდინარე გამოწვევები, რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავზე არსებული ვითარება და ევროსაბჭოს ახალი გენერალური მდივნის არჩევნები.

ასამბლეას სიტყვით სლოვენიის პრეზიდენტი დანილო ტურკი მიმართავს.

სესიაზე ასამბლეა რუსული დელეგაციის მანდატების გადახედვის შესახებ ორგანიზაციის 72 წევრის მიერ წარდგენილ მოთხოვნასაც განიხილავს.

დებატების თემები ასევე იქნება მონაკოს მონიტორინგის დასრულების საკითხი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ახალი დამატებითი ოქმის შემუშავების შესახებ წინადადების განხილვა, რომელიც ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას შეეხება. ასევე განიხილავენ სისხლის სამართალწარმოებაში პოლიტიკურად მოტივირებულ დარღვევების, "დამსმენთა" დაცვის მექანიზმების და ქალთა გაუპატიურების საკითხებს.

გარდა ამისა, ასამბლეაში მოთხოვნილია დებატები ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის შესახებ.

სესიის ფარგლებში ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანჟელ გურია თავისი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გაფართოებულ დებატებში მიიღებს მონაწილეობას.

პირველი

აშშ ირანის ტერიტორიიდან თავდასხმის მოგერიებისთვის რუსეთში, არმავირთან განთავსებულ რადარებს გამოიყენებს

ბარაკ ობამას ახალ ინიციატივაზე პენტაგონი კიდევ ერთ განმარტებას აკეთებს. როგორც აშშ-ს თავდაცვის მდივანმა რობერტ გეიტსმა ჩეხ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, თავდაცვის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის არქიტექტურის შეცვლა პროექტში სხვადასხვა სარადარო და სარაკეტო კომპლექსების, მათ შორის რუსული ობიექტების ჩართვის საშუალებას იძლევა.

როგორც გეითსმა აღნიშნა, რომ სამხრეთში არსებობს არმავირის სარადასრო სადგური, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ირანის ტერიტორიიდან თავდასხმის მოგერიებაში სისტემა უფრო დახვეწილი გახადოს. გეითსის განცხადებით, ჩეხეთი და პოლონეთი ამ საკითხში ვაშინგტონის პარტნიორებად რჩებიან.

"რუსეთს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში არმავირთან რადიოლოკაციური სადგური აქვს. ამ ობიექტის ჩართვა შესაძლებლობას მოგვცემს, შევავსოთ ის სიცარიელეები, რომელიც სისტემას ირანის ტერიტორიის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში გააჩნია. ჩვენ მოხარულები ვიქნებით, თუ რუსეთი ჩვენს რაკეტსაწინააღმდეგო ქსელში ჩაერთვება. 2006 წელს ჩემ მიერ ხელმოწერილი პროექტისგან განსხვავებით, ამ შეცვლილი არქიტექტურის მთავარი მიღწევა ის არის, რომ ის სარადარო სისტემაში ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის და სხვადასხვა სახის ობიექტების ჩართვის შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამიტომ, ეს აშშ-სთვის და მისი პარტნიორებისთვის ხელსაყრელი პროექტია," - განაცხადა რობერტ გეითსმა.

ჯი-ეიჩ-ენი

მარიონეტების ზეიმი

ვერიკო თევზაძე

სამხედრო აღლუმი, რუსეთიდან გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები ჰუმანიტარული დახმარებისა და პრეზიდენტ მედვედევის მისალოცი წერილის სახით, რაც ყველაზე მთავარია - პირველად აჟღერებული "სახელმწიფო ჰიმნი" და კიდევ რამდენიმე წვრილ-წვრილი ღონისძიება თავისებურ სხივს ჰმატებდა სეპარატისტულ ცხინვალში მოწყობილ ზეიმს, რომელიც "რესპუბლიკის დღეს" მიეძღვნა.

ცხინვალში "რესპუბლიკის დღე" მეცხრამეტედ აღნიშნეს. 1990 წელს, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ) პასუხად, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა.

გუშინდელ საზეიმო აღლუმზე სიტყვით გამოსულმა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა კოკოითიმ სეპარატისტთა წინსვლასა და იმ წარმატებებზე ისაუბრა, რომლებიც მათ წინააღმდეგობების, ბრძოლისა და ტკივილის ფასად მოიპოვეს. კოკითი რესპუბლიკის გამოცხადების 19-წლიან პერიოდს განსაკუთრებულ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს. **"ეს წლები ბევრ რამეს აერთიანებს - საკუთარ მიწაზე ცხოვრების უფლებისთვის ბრძოლას, ომის საშინელებას, ახლობლებისა და ნათესავების დაკარგვას, სტიქიურ უბედურებებს, ომის შემდგომ მძიმე პერიოდს. ყველაფრის მიუხედავად, რესპუბლიკა წინ მიდიოდა,"** - განაცხადა კოკოითიმ.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა საქართველოს ხელისუფლებას "გონიერებისკენ" მოუწოდა: **" საქართველოს ხელისუფლებას გონიერებისკენ მოვუწოდებთ. არსებული რეალიების გათვალისწინებით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნა ძალაში რჩება."** კოკოითის შეფასებით, "ოსი ხალხის გამარჯვებაში" განსაკუთრებული როლი "დიდ რუსეთს" ენიჭება.

სეპარატისტთა ზეიმს რუსი დეპუტატები და რუსეთში ნიკარაგუის ელჩი ესწრებოდნენ. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს, მან ოს სეპარატისტებს მისალოცი წერილი გაუგზავნა. მედვედევის მილოცვის ტექსტი კრემლის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა. მედვედევი სეპარატისტთა წარმატებებზე საუბრობს: **"სუვერენული სამხრეთ ოსეთი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების საკითხებს წყვეტს, დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ქმნის."**

რუსეთის პრეზიდენტი ყურადღება ამახვილებს "ორი სახელმწიფოს" ერთობლივი მუშაობის შედეგებზე ინფრასტრუქტურის აღდგენის საქმეში, მშენებლობის სფეროში, რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით სახელმწიფო საზღვრის გამაგრების საკითხში.

დმიტრი მედვედევმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას და მათ წინამძღოლ ედუარდ კოკოითის **"დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავებული სახელმწიფოს მშენებლობაში"** შემდგომი წარმატებები უსურვა და განცხადა, რომ რუსეთი მათ მეგობრად დარჩება და კვლავაც გააგრძელებს მხარდაჭერას **"რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველყოფისთვის."**

სეპარატისტთა ზეიმი 20 სექტემბერს არ დასრულებულა. "რესპუბლიკის დღისადმი" მიძღვნილი ღონისძიებები 19 სექტემბერს დაიწყო და 23 სექტემბრამდე გასტანს. რუსეთის განსაკუთრებული როლი ამ ღონისძიებებშიც იგრძნობა. მაგალითად, 22 სექტემბერს ცხინვალში რუსული ენისა და კულტურის დღეები გაიხსნება. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობის ე.წ. კულტურის მინისტრის მოადგილე ზამირა ჯიოევას ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში სამეცნიერო კონფერენციები ჩატარდება და მრგვალი მაგიდა მოეწყობა.

სააგენტო "რეს" ცნობით, საზეიმო დღეებში ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის შინაგან საქმეთა სამინისტრო მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზეა გადასული. ძალოვნების საგანგებო მუშაობა მოსახლეობის და სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება.

ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრ ვალერი ვალიევის განცხადებით, მისი უწყება საგანგებო რეჟიმში 23 სექტემბრამდე იმუშავებს.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკში გაემგზავრა

გუშინ საქართველოს დელეგაცია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ნიუ-იორკში გაემგზავრა. პრეზიდენტი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 24 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილი გაერო-ში ოცწუთიან მოხსენებას გააკეთებს. ის ყურადღებას გაამახვილებს ოკუპირებულ ზონებში აგვისტოს ომის შემდეგ არსებულ მდგომარეობაზე. აშშ-ში, პრეზიდენტთან ერთად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძეც გაემგზავრა. გაერო-ში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია პრეზიდენტის ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებთან. დღეს სააკაშვილი და ვაშაძე აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს შეხვდებიან.

დღესვე იგეგმება გრიგოლ ვაშაძის შეხვედრა ამერიკელ ებრაელთა კომიტეტის პრეზიდენტ რიჩარდ სიდმანთან და აღმასრულებელ დირექტორ დევიდ ჰარისთან, ასევე აშშ-ს სპეციალურ წარმომადგენელთან ავღანეთისა და პაკისტანის საკითხებში რიჩარდ ჰოლბრუკთან.

გაერო-ს გენერალურ ასამბლეაში ყოველწლიურად იმართება საყოველთაო დებატები და განხილვა, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფოების პირველი პირები მონაწილეობენ. ნიუ-იორკში გაერო-ს 64-ე გენერალური ასამბლეა 16 სექტემბერს გაიხსნა. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარედ, აფრიკის რეგიონული ჯგუფის წინადადებით, ლიბანელი დიპლომატი ალი აბდელ სალამ ატ-ტრეიკი აირჩიეს.

"ვფიქრობ, ყველას გვესმის, რომ გაერო რეფორმებსა და დემოკრატიზაციას საჭიროებს. გენერალური ასამბლეა, რომელიც მთელს მსოფლიოს წარმოადგენს, მუდმივად ხვდება წინააღმდეგობებს თავის საქმიანობაში," - განაცხადა ალი აბდელ სალამ ატ-ტრეიკიმ.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დიალოგის განვითარებას, ურთიერთგაგებას ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას.

"ემბარგო და ბლოკადა არანაყოფიერია, აღრმავებს ანტაგონიზმს და პროტესტს, ხელს უშლის ნდობას, საერთაშორისო თანამეგობრობის ჭეშმარიტ განზრახვას და მხოლოდ მოსახლეობას აზარალებს," - განმარტა მან.

გენერალური ასამბლეის სესია, დაახლოებით, 160-პუნქტიანი დღის წესრიგით იმუშავებს, მათ შორის იქნება ისეთი აქტუალური თემები, როგორიც არის მშვიდობისა და აუსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორიზმთან ბრძოლა, ადამიანის უფლებების დაცვა, სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხები. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გარემოს დაცვისა და შიდსთან ბრძოლის საკითხებს.

გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეფორმირებისა და ორგანიზაციის საქმიანობის გააქტიურების საკითხებზე გააგრძელებს მუშაობას.

საერთო პოლიტიკური დისკუსიის დაწყებამდე 22 სექტემბერს გაიმართება სამიტი, რომელიც კლიმატის ცვლილებებს მიეძღვნება. სამიტის ფარგლებში 8 მრგვალი მაგიდა გაიმართება, ხოლო პლენარულ სხდომაზე მხოლოდ გაერო-ს გენერალური მდივანი პან გი მუნი და მიწვეული მომხსენებლები გამოვლენ.

დებატები 23 სექტემბრიდან დაიწყება. საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში გაერო-ს წევრი სახელმწიფოების მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები მონაწილეობენ.

23 სექტემბრის გამომსვლელთა სიაში რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევიც არის.

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი შტატებში 25 სექტემბრამდე გაგრძელდება.

საკუთარი ინფორმაცია

რუსეთი აფხაზეთში კატარღებს აგზავნის

რუსეთი აფხაზეთის საზღვაო საზღვრის დასაცავად ოცამდე საგუშაგო კატარღას აგზავნის. ამის შესახებ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სასაზღვრო სამსახურის უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვიქტორ ტრუფანოვმა განაცხადა.

აღნიშნული კატარღები ოჩამჩირეში განთავსდებიან, სადაც უკვე დაწყებულია შესაბამისი ბაზის შექმნაც. რუსეთის სასაზღვრო სამსახური აფხაზეთის საზღვაო სივრცის დაცვის სისტემის შექმნას ნოემბერში დაასრულებს.

რუსეთი აფხაზეთში დამატებითი სასაზღვრო საგუშაგო კატარღების გამოგზავნის შესახებ თავის გადაწყვეტილებას ბოლოდროინდელი მოვლენებით ხსნის, როდესაც ქართულმა მხარემ აფხაზეთში ტვირთის უკანონო გადაზიდვის გამო თურქული გემი დააკავა.

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სასაზღვრო სამსახურის უფროსის მოადგილის, გენერალ-პოლკოვნიკ ვიქტორ ტრუფანოვის განცხადებით, თუ აფხაზეთის საზღვაო საზღვარს დაარღვევენ, ისინი კანონის შესაბამისად იმოქმედებენ.

"თუ საზღვრის დარღვევისას კანონის შესაბამისად ვმოქმედებთ. თუ ჩვენ ვიცავთ საზღვარს, ჩვენ ვაკავებთ და შესაბამის ღონისძიებებს ვატარებთ," - განაცხადა ტრუფანოვმა.

მისივე თქმით, რუსეთის და აფხაზეთის სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის რუსეთი ყველაფერს გააკეთებს.

ცნობისათვის - აფხაზეთის ტერიტორიაზე საზღვრის დაცვის მიზნით 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურეა შეყვანილი, რომლებიც 215 კმ. საზღვაო, 98 კმ. სახმელეთო და 39 კმ. სამდინარო საზღვარს აკონტროლებენ.

აფხაზეთის საზღვაო აკვატორიას ამჟამად შავი-აზოვის ზღვის სასაზღვრო სამმართველოს გემები და კატარღები იცავენ.

ივნისში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალი ვლადიმერ ვისოცკი აცხადებდა, რომ აფხაზეთში მასშტაბური ბაზის შექმნა არ მოხდებოდა, ხოლო ბაზის შექმნას. დაახლოებით. 2-3 წელი დასჭირდებოდა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რუსეთის ერთადერთი მოკავშირე

ნოდარ ლადარია



დღეს მოვალე ვარ... არა, მოვალე კი ვარ, მაგრამ მსურს კიდეც დავუბრუნდე ჩემს სტატიას "ცუდად მიჯაჭვული პრომეთე", რომელიც 24 აგვისტოს დაიბეჭდა. სტატიაში საუბარი იყო ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრ ლაშა ჟვანიას ბოლო ბრიფინგზე. მჭევრმეტყველების წყალუხვი ნაკადიდან მე მხოლოდ ერთი ეპიზოდი გამოვყავი: ყოფილმა მინისტრმა მადლობა გადაუხადა ტელეკომპანია "იმედის" ჟურნალისტს, ლელა წიკლაურს შემდეგი სიტყვებისათვის: "ძალიან არ მსიამოვნებს, რომ თქვენზე ნეგატიურ სიუჟეტს მაკეთებინებენ". ახლა უკვე არ მადარდებს, რამდენად სწორად ვიმეორებ ლაშა ჟვანიას ნათქვამს, რადგან სავსებით დარწმუნებული ვარ: ჟურნალისტს არასოდეს წარმოუთქვამს ეს სიტყვები.

რატომ ვარ ასე დარწმუნებული?

24 აგვისტოს სტატიაში მე განვიხილე ორი შესაძლო შემთხვევა: 1) ჟურნალისტს მართლაც "აკეთებინებდნენ" ნეგატიურ სიუჟეტს; 2) ჟურნალისტმა უბრალოდ იცრუა, რათა მინისტრთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინა. რამდენიმე დღის წინ მე საშუალება მქონდა ამ შემთხვევისა და ჩემი სტატიის შესახებ პირადად მესაუბრა ლელა წიკლაურთან. ის არ გაცხარებულა, მაშინვე არ დაუწყია "სიმართლის ძიება", ერთი სიტყვით, არ ჰქონია სტანდარტული რეაქცია: მან უბრალოდ მითხრა, რომ მე გამომრჩა მესამე შესაძლებლობა, ანუ ის, რომ იცრუა ყოფილმა მინისტრმა... ამგვარმა ემოციურმა წონასწორობამ მეტი ადამიანური დამაჯერებლობა შესძინა ჟურნალისტის სიტყვებს. თანაც ადამიანურის გარდა ამას ფაქტობრივი დამაჯერებლობაც ახლდა თან, მაგრამ ამის აქ გამჟღავნება სრულიად ზედმეტია — ისედაც კვირაში ერთხელ ვხვდები მკითხველს და ვიღაც ყოფილი ფუნქციონერის ცხოვრებიდან რაღაც წვრილმანი ჭეშმარიტებების ჩამოთვლაზე რატომ დავაკარგვინო სიცოცხლის ძვირფასი წუთები?

უბრალოდ ვაღიარებ, რომ ავყევი ერთ ცდუნებას და არ გავითვალისწინე ერთი გარემოება.

ცდუნება ის იყო, რომ განხილული ორი შესაძლებლობა ზოგადი მსჯელობის საბაბს მაძლევდა, ლაშა ჟვანიას თუმც ხმამაღალი, მაგრამ მაინც ყოფითი თავხედობა კი, აბა, რის მაგალითად გამოდგება? — მხრების აჩეჩვადაც არ ღირს.

გარემოება კი შემდეგია: ცხოვრებისეული გამოცდილება ადრე თუ გვიან ყველას გვარწმუნებს, რომ ყველაფერია მოსალოდნელი.

ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოში სააღდგომო ცეცხლის ლამის სამრეწველო მასშტაბებით შემომტანი მინისტრი ბანალური ცრუპენტელა აღმოჩნდებოდა? — საკვირველი არაფერია, რადგან ზედაპირულ რელიგიურობას ამოფარებული ძალაუფლების წყურვილი არა მარტო პიროვნულ დონეზე ჩნდება...

აი, მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ თითქმის ერთდროულად მოხდა ორი ერთი შეხედვით ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა.

პირველი: მოსკოვის საპატრიარქოს გარესაეკლესიო ურთიერთობათა განყოფილებამ განაცხადა, რომ "საქართველოს პოლიტიკური საზღვრების ცვლილება არ ნიშნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის ცვლილებას" — რატომღაც თითქმის ყველამ გაიხარა, არიქა, მოსკოვის საპატრიარქო ჩვენს მხარეზეაო. არადა ვერ გავიგე, რა არის სასიხარულო იმაში, როცა შენი პოლიტიკური საზღვრების შევიწროებას სრულიად უეჭველ ფაქტად აღიარებენ.

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ. სანამ გონების ვარჯიშს დავიწყებდეთ, ოდნავ გავხურდეთ.

განცხადებას ხელს აწერს მთავარეპოსკოპოსი ილარიონ ალფეევი, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქოსთან დაახლოებულ წრეებში დღემდე შერჩა ბავშვობისდროინდელი სახელი "ილარიოსიკ". საკვირველი არაფერია:

მთავარეპისკოპოსი ილარიონი ბავშვობიდანვე იყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ახლანდელი პატრიარქის, კირილეს ფავორიტი. დანამდვილებით ვერ გეტყვით, რამ იმოქმედა, ოქროსფერი ღინღლით ახლადშემოსილმა სანდომიანმა პირისახემ თუ მუდამდღე ეგზალტირებული დედიკოს ჰიპერაქტიურობამ, მაგრამ ილარიონმა ადრეულ ასაკში მიიღო იღუმენის წოდება და თეოლოგიურ განათლებასაც საზღვარგარეთ დაეუფლა. ამ განხრით რამდენიმე წიგნიც აქვს დაწერილი. ერთხელ ჩვენი გზები ვატიკანის აღმოსავლური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში გადაიკვეთა, სადაც რუსეთის ეკლესიის ნებიერმა წარმომადგენელმა ბიზანტიური ასკეტიზმის შესასწავლად შემოიარა.

მაგრამ საბოლოოდ არც ლოცვით მოსაგრეობას დასდგომია და არც მეცნიერის გზა აურჩევია: ბიუროკრატის კარიერა უფრო სანუკვარი აღმოჩნდა. კირილემ ილარიოსიკი ვერც მუხლების გადასატყავებლად გაიმეტა და ვერც შუბლის დასანაოჭებლად: ჯერ საკუთარ თანაშემწედ აქცია საგარეო განყოფილებაში, ხოლო მფარველის გაპატრიარქების შემდეგ თვით ახალგზარდა პროტეჟე იქცა უწყების ხელმძღვანელად.

გარდა ამისა, საკმაოდ დიდი ხნის წინ ახლად შეღერებული ილარიოსიკი დედამ, ვალერია ალფეევამ საქართველოში ჩამოიყვანა. ვაჟთან ერთად ამ ქალბატონმა რამდენიმე კვირა დაჰყო ბეთანიის მონასტერში და ამის შემდეგ დაწერა რომანი "ჯვარი", უფრო სწორად, "დჟვარი", რომელიც 1989 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში "ნოვი მირ" (N 7). რომანში, რომლის სატიტულო ფურცელს ამკობს წარწერა — "ვუძღვნი ჩემს ვაჟს" — აღწერილია, როგორ უშედეგოდ ცდილობს მამათა მონასტერში შეხიზნული რუსი ბავშვიანი ქალი ქართველი წინამძღვრის შეცდენას.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი: ილარიონ ალფეევი სიყრმეში იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სულიერი შვილი და სტიქაროსანი! — სხვა სიტყვებით კი, იგივე წარმოშობა ჰქონია, რაც ლაშა ჟვანიას... რომ არაფერი ვთქვათ, გიგი უგულავაზე, კობა სუბელიანსა და ჩვენი პოლიტიკურ-სოციალური ზეცის სხვა ნაკლებად კაშკაშა მნათობებზე.

როგორც ვხედავთ, "ილარიოსიკს" საკმაოდ ძლიერი პირადი საფუძველი აქვს იმისათვის, რომ გვაჩუქოს ის, რაც ისედაც გვეკუთვნის და ყოველთვის გვეკუთვნოდა — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კანონიკური ტერიტორია.

მეორე მოვლენა, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგება მოსკოვის საპატრიარქოს ამ გულუხვ ძღვენს, არის აფხაზეთში რამდენიმე სამღვდელო პირის დემარში: ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის გაუქმება და აფხაზეთის დამოუკიდებელი ეკლესიის დაარსება. ამაზე გაგრძელება არ ღირს, რადგან კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ სავსებით ამოწურა საკითხი, როცა განაცხადა შემდეგი: "აფხაზეთის დამოუკიდებელ ეკლესიაზე ლაპარაკი არასერიოზულია. არავის აქვს დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლება დედა ეკლესიის გარეშე".

ერთი მხრივ, განცხადება მართლაც დამაიმედებელია, მაგრამ საქმე არც ისე მარტივადაა. სირთულეში გასარკვევად კვლავ ერთმორწმუნე ძმებს მივმართოთ: ამჯერად ყველაზე პროდუქტიული საეკლესიო იდეოლოგი, დიაკონი ანდრია კურაევი უნდა გავიხსენოთ. ამ სუბიექტის გასაცნობად ერთი ეპიზოდი კმარა: მახსოვს, მოსკოვის ჩრდილოეთით, დუბნაში ვიყავით, როცა ვიღაც ახალმოქცეულმა ქალბატონმა ჰკითხა, მამაო, ორი სიტყვით გამოთქვით ქრისტიანობის არსიო. კურაევი არც დაფიქრებულა: "ორი სიტყვით თუ გნებავთ, ასე იქნება: მოინანიეთ, ნაბიჭვრებო!".

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საქმეს. 2008 წლის 15 დეკემბრით დათარიღებულ სტატიაში "საეკლესიო პოლიტიკის აფხაზური კვანძი" ანდრია კურაევი წერდა: "ჩვენ ქართველი პატრიარქი აფხაზეთით გვიჭირავს, ის კი უკრაინით გვაკავებს".

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნუ ვიფიქრებთ, თითქოს აფხაზეთის სქიზმატები მოსკოვური დირექტივის გარეშე მოქმედებენ. მაგრამ რას მიგვანიშნებს მოსკოვის საპატრიარქოს ეს ორმაგი დარტყმა?

იმას, რომ საქართველოში ხელოვნურად გათამაშდა, ასე ვთქვათ, უკრაინის ვითარება. უკრაინაში კანონიერად ხელდასხმული მიტროპოლიტის, ფილარეტის იურისდიქციაში მყოფი მრევლი უკვე კარგა ხანია ესწრაფვის ავტოკეფალიასა და მოსკოვის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებლობას.

ამ საკითხის გადაწყვეტაზე არსებითად იმოქმედებს საქართველოს ეკლესიის პოზიცია. ამას არც ანდრია კურაევი მალავს: "საკმარისია განვაცხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფა საქართველოს ეკლესიისგან, რომ ჩვენ ვკარგავთ ერთადერთ მოკავშირეს კონსტანტინოპოლთან უკრაინის თემაზე შესაძლო დიალოგში". ამიტომაც მიგვანიშნებს რუსეთის საპატრიარქო: მხარი დაუჭირეთ ჩემს ინტერესებს, თორემ სქიზმატები თქვენთანაც არიანო. მაგრამ დააკვირდით და ნუ გამოგრჩებათ გულახდილობის მწვერვალზე მოკიაფე განსაზღვრება: "ერთადერთი მოკავშირე".

ახლა კი ვნახოთ, რითი ყიდულობს მესამე რომი თავის ერთადერთ მოკავშირეს.

გამეორება, მოგეხსენებათ, ცოდნის დედაა. ჰოდა, ცხადად დავაყენოთ ერთმანეთის პირისპირ უკვე ნახსენები ორი მოვლენა:

1) მოსკოვის საპატრიარქო აცხადებს, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კანონიკური ტერიტორია ხელშეუხებელია. ასეთივე წარმატებით შეიძლება განაცხადოს, რომ ზაფხულში თბილა, ან რომ წყალი სველია. მაგრამ აქ თეორიული მხარე ნაკლებად მნიშვნელოვანია: საქმე ისაა, რომ მოსკოვის საპატრიარქო ვერანაირად ვერ შეცვლის რუსეთის სამხედრო მანქანის მიერ დამყარებულ რეალურ ვითარებას. ანდრია კურაევი ამაზე წერს: "ვთქვათ, შეუშვეს ქართველი მღვდლები აფხაზეთში. ვთქვათ, გამოვიდნენ ისინი სოხუმის მოედანზე და მიმართეს აფხაზებს ქართულად ... რაო, აფხაზები მაშინვე მუხლს მოიყრიან და ხელს გაიწოდებენ ... ?!". აქ სწავლული დიაკონი, რა თქმა უნდა, დაუშვებლად ამარტივებს სურათს. ასეთივე წარმატებით შეიძლება შევუტრიალოთ მისივე ნათქვამი და "რუსი მღვდლები" ჩავწეროთ... მაგრამ ნუ ავღელდებით: ერთი რამ ნამდვილად მართალია: ოდენ საეკლესიო სახსრებით პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა შეუძლებელია და რომ არა რუსული პოლიტიკის შეგნებული თანხმობა, ვერც ქართველი სამღვდელოება გახსნიდა ომის დროს ჰუმანიტარულ დერეფანს.

2) ამავე დროს მარცხენა ხელით (რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მშვენივრად იცის, რასა იქმს მარჯვენა) მოსკოვის საპატრიარქო აგულიანებს მღვდელ ბესარიონ აფლიას (ოდესღაც გუდაუთის ბაზარზე ის ფილიას გვარით აბირჟავებდა) და საქართველოს კანონიკურ ტერიტორიაზე ახალი დამოუკიდებელი ეკლესიის გამოცხადებისკენ უბიძგებს. ამგვარად საქართველოს ეკლესიის წიაღში ხდება რუსულ-უკრაინული კონფლიქტის სიმულირება. მაგრამ სიმულირების ხარისხი დაბალია: ეს ორი ვითარება ერთმანეთს სულაც არა ჰგავს, რადგან არსებობს ეკლესიურობის ურღვევი პრინციპი: სადაც ეპისკოპოსია, იქ არის ეკლესია. შეიძლება გამოვთქვათ ნეგატიურადაც: სადაც არ არის ეპისკოპოსი, ეკლესია ვერ იქნება.

უკრაინელ მორწმუნეებს ჰყავთ ავტოკეფალიისა და მოსკოვისგან დამოუკიდებლობის მომხრე კანონიერად დადგენილი ეპისკოპოსები, აფხაზ სქიზმატებს კი კანონიერი ეპისკოპოსი პრინციპულად ვერ ეყოლებათ, რადგან მათთვის ეპისკოპოსის დადგენით რუსები აშკარად დაარღვევენ საეკლესიო კანონებს და ამას არავინ სცნობს.

ქრისტიანულ ასკეტიკაში ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ეშმაკი ღმერთის მაიმუნია: ბაძავს შემოქმედს, მისი ადგილის დაჭერა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს. პრაქტიკულად, მოსკოვის საპატრიარქო რუსეთის ხელისუფლების მაიმუნია. რადგან რუსეთ-უკრაინის კი არა, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგი გაიმეორა. აკი რუსეთის მთავრობაც აცხადებს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებიაო, მაგრამ დამოუკიდებლობისა არც ერთს არაფერი სცხია. ჰოდა, აქაც იმავეს ვიღებთ: ხუთი მღვდელი დამოუკიდებელ ეკლესიას აცხადებს, რეალურად კი ალბათ სტავროპოლის ეპარქიის დანამატი იგულისხმება...

ამ კონტექსტში ილია მეორის სიტყვები, რომ "დედა ეკლესიის გარეშე არავის არა აქვს დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლება", კარგავს საიმედო საზრისს და რუსეთის ერთადერთი მოკავშირის ბუნებრივ განცხადებად იქცევა: გამოდის, რომ არც უკრაინელ იერარქიას ჰქონია "დედა ეკლესიის" გარეშე დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლება. და ეს მაშინ, როცა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომემ უკრაინელი ერისადმი მიმართვაში ნათლად აღნიშნა, რომ უკრაინის ეკლესია ანექსირებულ იქნა რუსეთის სახელმწიფოს მიერ 1687 წელს პეტრე პირველის გავლენით.

"ერთადერთი მოკავშირე" ყველა დონეზე ავლენს თავს. მაგალითად, ახლახან ვნახეთ სამღვდელოთა და საეროთა აქციები "სოკარის" ბენზინის ჩამომსხმელ პუნქტებთან: თურმე "სოკარს" საქართველოს მეჩეთებით ავსების განზრახვა ჰქონია. მაგრამ საკმარისია ოდნავ ღრმად შევხედოთ, აღმოვაჩინოთ, თუ რა სპონსორულ-ბენეფიციარული სიამტკბილობა სუფევს "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირსა" და "სოკარის" კონკურენტ "ლუკოილს" შორის, რომ აქციების ნამდვილი მოტივაცია მაშინვე გასაგები გახდება.

ამიტომ დროა საეკლესიო სფეროშიც სიზუსტე და გამჭვირვალება შემოვიღოთ: აფხაზები იმიტომ კი ვერ გამოაცხადებენ ავტოკეფალიას, რომ დედა ეკლესიას ვერავინ უგანებს, არამედ იმიტომ, რომ ეს რუსული ანექსიის დაუფარავი ნიშანი იქნება. ხოლო უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა დედა ეკლესიისაგან მოწყვეტას კი არა, რუსული ანექსიისაგან გათავისუფლებას ნიშნავს.

ბოლოს და ბოლოს, გავახილოთ თვალები, დავინახოთ, რომ ჩვენს მოკავშირეობას მოსკოვის საპატრიარქო გახვრეტილ კაპიკიანებზე ყიდულობს, და ვაღიაროთ, რომ უკრაინელი მართლმადიდებლების მხარდაჭერაზე უარი არა ჭეშმარიტების დაცვა იქნება, არამედ რუსული პოლიტიკის ბრმა მორჩილება. უკრაინის საკითხში მოსკოვის პოზიციის გაზიარებით საქართველოს საპატრიარქო იმავე ფუნქციას შეასრულებს აღმოსავლეთ საქრისტიანოში, რასაც საერთაშორისო პოლიტიკაში დანიელ ორტეგა და უგო ჩავესი ასრულებენ.

დიმიტრი მედვედევი: რუსეთი სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერას გააგრძელებს

რუსეთი კვლავ გააგრძელებს სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით. ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მისალოც წერილში, რომელიც მან ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითს რესპუბლიკის დღესთან (დამოუკიდებლობის დღე. რედ.) დაკავშირებით გაუგზავნა.

კრემლის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზიდენტი მედვედევი წერილში აღნიშნავს, რომ "დროში გამოცდილმა მეგობრობამ და რუს და სამხრეთ ოსეთის ხალხებს შორის თანამშრომლობამ სახელმწიფოთაშორისი საზომი შეიძინა. სუვერენული სამხრეთ ოსეთი დარწმუნებით წყვეტს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ამოცანებს, აყალიბებს ხელისუფლების დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას".

მედვედევი თავის წერილში აღნიშნავს, რომ ერთობლივ მუშაობას სახელშეკრულებო სამართლებრივი ბაზის ფორმირებისა და ორი სახელმწიფოს შემდგომი ურთიერთქმედებისათვის კონკრეტული შედეგები მოაქვს ინფრასტრუქტურის აღდგენისა და მშენებლობის, "სახელმწიფო საზღვრის გამაგრების, რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის" მხრივ.

დმიტრი მედვედევი აღნიშნავს, რომ რუსეთი კვლავაც გააგრძელებს მეგობარი სამხრეთ ოსეთის ხალხის ყოველმხრივ მხარდაჭერას "რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველსაყოფად".

რუსეთის პრეზიდენტმა სამხრეთ ოსეთის ხალხს და ედუარდ კოკოითს "დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავებული სახელმწიფოს მშენებლობაში" შემდგომი წარმატებები უსურვა.

სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებებზე კომერციული საიდუმლოების სტატუსის მოხსნის შესახებ ბიუროს ახალი ინიციატივა წარედგინება

"ქრისტიან-დემოკრატები" პარლამენტის ბიუროს ახალი ინიციატივას წარუდგენენ. ახალი ინიციატივით, "ქრისტიან-დემოკრატები" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების ან მართვაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებზე კომერციული საიდუმლოების სტატუსის მოხსნას ითხოვენ.

"ქრისტიან-დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება საიდუმლო იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებას ან მართვის გადაცემას.

როგორც ლევან ვეფხვაძე აცხადებს, აღნიშნული დოკუმენტის საჯაროობა საზოგადოების ლეგიტიმური უფლებაა.

ვეფხვაძემ გასაიდუმლოების მაგალითად ენგურჰესთან დაკავშირებული საქმე დაასახელა, როდესაც კომერციული საიდუმლოების მოტივით, ენერგეტიკის სამინისტრომ ხელმოწერილი შეთანხმების მედიისთვის გადაცემაზე უარი თქვა.

მისი თქმით, მსგავსი პრობლემა "ენერგო-პრო ჯორჯიასთან" გაფორმებული ხელშეკრულების ირგვლივაც არის, რადგან "ქრისტიან-დემოკრატებს" მოთხოვნაზე, სამინისტროს მოეწოდებინა ხელშეკრულება, რომ გაეგოთ, რა პირობებით მოხდა თავის დროზე საქართველოს ელექტროენერგიის სადისტრიბუციო ქსელის გადაცემა, უარი მიიღეს.

საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის გარდა, "ქრისტიან-დემოკრატები" აღნიშნულ საკითხზე პარლამენტში სამთავრობო საათზე ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურის დაბარებასაც აპირებენ, რათა მისგან მოისმინონ ახსნა-განმარტება, თუ რა ღონისძიებებს გეგმავს სახელმწიფო მომხმარებელთა უფლებების დარღვევის, მათ შორის კოლექტიური მრიცხველების პრობლემის აღმოსაფხვრელად და გაზრდილი ტარიფების შესამცირებლად.

სეპარატისტულმა აფხაზეთმა რუსეთთან სოფლის მეურნეობის სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს

რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმს ხელი რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ელენა სკრინიკმა და სეპარატისტთა სოფლის მეურნეობის ე.წ. მინისტრმა იური აკამამ მოაწერეს. ხელმოწერა სოჭში მიმდინარე საერთაშორისო ინვესტიციური ფორუმის ფარგლებში გაიმართა.

"ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა რუსეთსა და აფხაზეთს შორის განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: მცენარეთმცოდნეობა, მეცხოველეობა, აგროსამრეწველო წარმოების ავტომატიზაცია და სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოება-გადამუშავება," - განაცხადა რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ელენა სკრინიკმა.

მისივე თქმით, გარდა ამისა, აფხაზეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ფარგლებში ასევე განხორციელდება სპეციალისტთა გაცვლა და ინფორმაციებისა და ტექნოლოგიების ურთიერთგაზიარება.

Coca-Cola პირველია

პირველი გვერდიდან

პირველი ათეულის ბრენდებიდან გაიზარდა Coca-Cola-ს და IBM-ის ღირებულება, შესაბამისად, 3 და 2 პროცენტით. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად დაეცა პირველი ხუთეულის დანარჩენი ბრენდების ღირებულება, მათ შორის ყველაზე ძლიერად General Electric-ის - 10%-ით. მსოფლიოს ყველაზე უფრო მზარდ ბრენდად უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რჩება Google, რომლის ღირებულებამაც უკანასკნელი წლის განმავლობაში დაახლოებით 25%-ით მოიმატა.

ბრენდი არ არის მხოლოდ სახელი და ლოგო. ის არის მოცემული კომპანიის პროდუქციის ან მომსახურების ხარისხისა და ინდივიდუალობის ყველაზე სრული მახასიათებელი, რომელიც ცნობილია მომხმარებლისთვის. კომპანიის ღირებულებისგან, აქციების ფასისაგან და, შესაბამისად, კაპიტალიზაციისგან (კაპიტალიზაცია არის კომპანიის ყველა აქციის ფასი და შეესაბამება კომპანიის საბაზრო ფასს) განსხვავებით ბრენდის ღირებულება ნაკლებად მერყეევა (ვოლატილურია). ბევრი ანალიტიკოსის აზრით, სწორედ ბრენდი წარმოადგენს კომპანიის ყველაზე ღირებულ აქტივს.

ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იგივე Coca-Cola. კრიზისის პირველ თვეებში კომპანიის აქციების ფასი 37.5 დოლარამდე დაეცა. შესაბამისად მნიშვნელოვნად შემცირდა კომპანიის კაპიტალიზაცია. ამავე დროს თითქმის არ შეცვლილა ბრენდის ღირებულება. Coca-Cola-ს მიმდინარე კაპიტალიზაცია არის დაახლოებით 71 მილიარდი დოლარი.

მსოფლიო კრიზისის ზეგავლენა მოცემულ სიაზე აისახა ფინანსური ინსტიტუტების ბრენდების ღირებულების დაცემით. მაგალითად, American Express-ი იყო მე-15, გახდა 22, HSBC იყო 27, გახდა 32.

ავტომობილის მწარმოებელი კომპანიების ბრენდებში ლიდერობს ტოიოტა, რომელმაც შეინარჩუნა ადგილი ათეულში, თუმცა მეექვსედან მერვე ადგილზე ჩამოქვეითდა. მე-12 ადგილზეა მერსედეს-ბენცი, რომლის ღირებულებაც 7%-ით შემცირდა. ამერიკული ავტომწარმოებელი კომპანიებიდან სიაში დარჩა მხოლოდ ფორდი, რომელმაც 49 ადგილი შეინარჩუნა.

მთლიანობაში მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ბრენდების სია კარგად ასახავს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც მოხდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისის შედეგად, აგრეთვე ძალთა თანაფარდობას მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. სიის სათავეში კვლავ რჩებიან ძველი ლიდერები, მაგრამ სიის ანალიზი გვაჩვენებს, რომ მსოფლიო ბიზნესში იკვეთებიან ახალი ლიდერები, რომლებმაც უნდა შეცვალონ მსოფლიო ეკონომიკის სახე ოცდამეერთე საუკუნეში.

bmi-ის ელექტრონულ ბილეთებს ტურისტული სააგენტოებიც გაყიდიან

სოფო ჩიხლაძე

ბრიტანულმა ავიაკომპანია bmi-მ საქართველოში ტურისტული სააგენტოებისთვის ელექტრონული ბილეთების პირდაპირი გაყიდვის სისტემა დანერგა. კომპანია პირველია, რომელიც მომხმარებელს ამ ტიპის მომსახურებას სთავაზობს. აქამდე მხოლოდ ავიაკომპანიის ოფისებში იყო შესაძლებელი ელექტრონული ბილეთის შეძენა, რომელიც საკმაოდ მოხერხებულია მგზავრობისათვის. ამიტომაც ის ბილეთის სტანდარტულ ფორმად იქცა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო მარშრუტებზე. **"bmi - პირველი ავიაკომპანია ჰითროუს ტერმინალ 1-ში, ამაყობს იმით, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების საქმეში მოწინავეა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში სწრაფად ახდენს ინვესტირებას, რითაც მგზავრებს მაქსიმალურ სარგებელს სთავაზობს,"** - აცხადებენ კომპანიაში.

ტურისტული სააგენტო CTS-ი პირველი ქართული სააგენტოა, რომელმაც სექტემბრის დასაწყისში bmi-ს ელექტრონული ბილეთი გაყიდა. CTS-ი არის Carlson Wagonlit Travel-ის წარმომადგენელი საქართველოში და ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ახალი სისტემა გამოსცადა. CTS-ის ფინანსურმა დირექტორმა გურამ ცერცვაძემ ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნა: **"ელექტრონული ბილეთის სისტემა ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ბაზრისთვის და ტურისტულ სააგენტოებს ტექნოლოგიურ უპირატესობებს სთავაზობს, რაც სამომავლოდ ხარჯების შემცირების პერსპექტივაში აისახება."**

ელექტრონული ბილეთები დიდი უპირატესობებით გამოირჩევა. ავიაბილეთი კლასიკური გაგებით არ იბეჭდება, ფრენის შესახებ ინფორმაცია სისტემაში ციფრული ვერსიით ინახება და საიმედოდ არის დაცული. ეს კი მგზავრს თავიდან აცილებს ისეთ უხერხულობას, როგორიცაა ბილეთის დაკარგვა, რადგან არ არის აუცილებელი, რომ მგზავრმა თან იქონიოს ბილეთი. ელექტრონული ბილეთი გაიცემა მომენტალურად და მგზავრს დროის დაკარგვა აღარ უწევს. ელექტრონული ბილეთი მგზავრს სხვა მომსახურებით სარგებლობის უპირატესობასაც სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ ახლო მომავალში bmi-ის ელექტრონული ბილეთების გაყიდვის სისტემით სხვა IATA-ს (საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია) წევრი ქართული ტურისტული სააგენტოებიც ისარგებლებენ.

bmi მსოფლიოში ავიახაზების ყველაზე დიდი ალიანსის (Star Alliance) წევრია, რომელიც 1997 წელს დაფუძნდა. იგი მსოფლიოში პირველი, ავიახაზების ალიანსია და მომხმარებელს წყნარი და მშვიდი მგზავრობის გამოცდილებას სთავაზობს. Star Alliance-მა მსოფლიო ბაზარზე საავიაციო ლიდერობა 2008 წელს მოიპოვა და მიენიჭა ყველაზე საუკეთესო ალიანსის წევრის სტატუსი 2003, 2006, 2007, 2008 წლის Business Traveller Magazine-ის და Skytrax-ის 2003, 2005, 2007 და 2009 წლის შედეგების შესაბამისად. Star Alliance-ის ქსელი ყოველდღიურად ანხორციელებს 17 000 რეისს 916 დანიშნულების ადგილზე 160 ქვეყანაში.

სადაზღვევო ბაზრის გამოუყენებლი პოტენციალი

თინი შავაძე

დასაწყისი 202

ინტერესის ამგვარი ნაკლებობა და გამოხმაურების მცირე მასშტაბი ნაწილობრივ "ტრადიციული ქართული მენტალიტეტის" შედეგია, რაც იმას გულისხმობს, რომ "საქართველოში ადამიანებს ცუდ ამბებზე ფიქრი არ სურთ". პრობლემაა აგრეთვე აგენტების მოტივირება პაკეტის აგრესიულად გასაღებისთვის. როგორც წესი, აგენტები თითო სადაზღვევო პაკეტის გაყიდვისთვის 5 ლარს იღებენ, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათი შემოსავალი მხოლოდ 3 ლარია. თუმცა ვითარება, სავარაუდოდ, შეიცვლება, რადგანაც პროდუქციის სხვა ტიპებზე მოთხოვნის კლების შედეგად არჩევანი მცირდება. შესაძლებელია, რომ აგენტებმა "მარტისაგნ განსხვავებით, მაისში პროდუქტის გასაღებისთის მზადყოფნა გამოავლინონ".

მოთხოვნის სიმცირე, უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ თავად შეთავაზებული პროდუქტი არცთუ ისე კარგია. მიუხედავად საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის წინადადებისა, რომ მოქალაქეებისთვის უფრო ფართო და, შესაბამისად, უფრო ძვირი პაკეტი შეეთავაზებინათ, მთავრობამ შედარებით მოკრძალებული და იაფი ვარიანტი არჩია. "ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ადამიანს მინიმალურ ფასად დაზღვევის მიღების შესაძლებლობა ჰქოდეს," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა სქემის პრეზენტაციისას. მართალია, ასეთი განზრახვა შეიძლება მისასალმებელიც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეკონომია ხარისხის ხარჯზე განხორციელდა. ჯანმრთელობის დაზღვევის სტანდარტული პაკეტის წლიური ფასი 150-200 ლარს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 5-ლარიანი პაკეტი საკმარისი არ არის. მართლაც, ეს პაკეტი უბედურ შემთხვევებსა და გადაუდებელ დახმარებას მოიცავს. ქართველებისთვის დამახასიათებელი მოხერხებულობის წყალობით, პოლისების მფლობელები და ექიმები ახერხებენ ამ პირობებისთვის გვერდის ავლას და რუტინული პროცედურების გადაუდებელ სამედიცინო დახმარებად გასაღებას, მაგრამ ამის შედეგად მათ შეიძლება თაღლითობაში დასდონ ბრალი. საქართველოში სტაციონარული პროცედურების 60 პროცენტი გადაუდებელ დახმარებად რეგისტრირდება, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით ეს რიცხვი 10 პროცენტს არ აღემატება. სადაზღვევო სექტორში მომუშავე ერთ-ერთმა პირმა მოსწრებულად შენიშნა, რომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროება რატომღაც, როგორც წესი, სამუშაო დღეებსა და სამუშაო საათებში წარმოიშვება. "ასეთი შემთხვევები შაბათ-კვირას ან შობაზე საერთოდ არ ხდება," აღნიშნა მან. მსგავსი წუხილი მიგვანიშნებს, რომ თავად პროდუქტი საკმარისად კარგი არ არის.

ქართული სადაზღვევო სექტორი მეტად სუსტია, რადგანაც რუსეთ-საქართველოს შარშანდელი ომის შედეგად დიდად იზარალა. მას შემდეგ "სადაზღვევო პაკეტებზე მოთხოვნა 25-30 პროცენტით შემცირდა. სამშენებლო და საბინაო სექტორებში წარმოქმნილი კრიზისის გამო განსაკუთრებით იკლო მოთხოვნამ იპოთეკური სესხებისა და კრედიტების დაზღვევაზე, რომელიც ომამდელ მდგომარეობასთან შედარებით დაახლოებით 90 პროცენტით შემცირდა.

სექტორის სისუსტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მისი მფლობელობის სტრუქტურაა. ქართული სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა კომერციულ ბანკებს ეკუთვნის, რომლებიც სადაზღვევო კომპანიებს საკუთარ "დამატებითი მომსახურების დეპარტამენტებად განიხილავენ, ხოლო იაფ დაზღვევას იყენებენ, როგორც ბანკების კორპორატიული კლიენტების შენარჩუნების დამატებით საშუალებას. თავად სადაზღვევო კომპანიის მომგებიანობა და სიცოცხლისუნარიანობა მათთვის მეორეხარისხოვანია".

ადგილობრივი საბანკო სექტორი უდიდესი სირთულეების წინაშე დგას და არ არის გამორიცხული, მათი გაყიდვა-გამსხვილება მოხდეს. თუ მოვლენები ასე განვითარდა, ყველაფერი ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სადაზღვევო სექტორზე. როდესაც ფრანგულმა "სოსიეტე ჟენერალმა" 2006 წელს "ბანკ რესპუბლიკის" 60-პროცენტიანი წილის ყიდვა გადაწყვიტა, ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ ქართულ ბანკს იმ დროისათვის მის მფლობელობაში მყოფი სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" თავიდან უნდა მოეცილებინა. ფრანგული მხარის ლოგიკა მარტივი იყო: საკუთარი თავის საკუთარი რესურსებით დაზღვევა "სისულელეა". მრავალი ქართული ბანკი კვლავაც ასე იქცევა და მოითხოვს, რომ კლიენტებმა, რომლებიც ავტომობილის შესაძენად ფულს სესხულობენ, კრედიტი ამავე ბანკის მფლობელობაში მყოფ სადაზღვევო კომპანიაში დააზღვიონ. ახალი ინვესტორები ასეთ პრაქტიკას არ შეეგუებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანიებს პრობლემები შეექმნება.

ყაზახეთში 1990-იან წლებში რამდენიმე კერძო სადაზღვევო კომპანია გაკოტრდა იმის გამო, რომ მათი გადახდისუნარანობის რეგულირება და კონტროლი არ ხორციელდებოდა. მალე მრავალი სადაზღვევო კომპანია დაიხურება საქართველოშიც, რომელიც თავისუფალი ბაზრის მომხრეების საოცნებო ქვეყანაა. რა ბედი ელის პოლისების მფლობელებს, თუ სადაზღვევო კომპანიები გაკოტრდებიან?

ერთ-ერთი შეფასებით, დაზღვევის სექტორი ტექნიკური და ადმინისტრაციული ინსტრუმენტების ნაკლებობას განიცდის. ინფორმაციისა და მონიტორინგის არსებული სისტემები ზუსტი მონაცემების დროულად მინოდებას ვერ უზრუნველყოფს. თანაც, კომპანიების თანამშრომლებს ამ სისტემების გამოყენება არ შეუძლიათ. მსგავსი პრობლემები ჯანდაცვის სამინისტროსაც აქვს, რომელსაც სამედიცინო დაწესებულებებისა და სადაზღვევო კომპანიების მონიტორინგი და ზედამხედველობა ევალება.

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ქართული პოლიტიკური გარემო. ეს კონკრეტული სქემა საზოგადოებისთვის მთავრობასთან არის ასოცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მომავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული მთავრობის მომავალთან. ის ფაქტი, რომ პაკეტის პრეზენტაცია თავად პრეზიდენტმა განახორციელა ფართოდ გაშუქებული ღონისძიების საშუალებით, გულისხმობს: საზოგადოება ამ პაკეტს განიხილავს, როგორც პოლიტიკურ მანევრს და არა როგორც მიმდინარე ადმინისტრაციული რეფორმების შემადგენელ ნაწილს (მიუხედავად იმისა, მართალია ეს თუ არა). ერთ-ერთი წამყვანი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ არ იცის, "იარსებებს თუ არა ეს პროგრამა გაისად."

ზოგადად, 5-ლარიანი დაზღვევის პაკეტის შემოღება მისასალმებელია, რადგანაც ეს ინიციატივა პოტენციურად ჯანდაცვის სექტორში უფრო მეტი ფინანსური რესურსის მოზიდვას გულისხმობს. თუმცა, საჭიროა ცვლილებები, რათა ამ სქემამ პრაქტიკაში იმუშაოს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თავად პაკეტის გაფართოება, განსაკუთრებით რუტინული სტაციონარული მომსახურებისა და პირველადი სამედიცინო მომსახურების მხრივ. გარდა იმისა, რომ ბენეფიციარები უკეთეს პაკეტს მიიღებენ, ამ უკანასკნელი მომსახურების დაფარვა აგრეთვე შესაძლებელს გახდის ხარჯების ეფექტიანობის მაქსიმიზაციას, რადგანაც პირველადი მომსახურება ერთგვარი მაკონტროლებლის ფუნქციას ასრულებს და "უზრუნველყოფს სისტემის კეთილსინდისიერ ფუნქციონირებას პაციენტის საჭიროებების შესაბამისად სამედიცინო მომსახურების შერჩევის, მათ შორის - კონკრეტული სპეციალობის ექიმთან პაციენტის გაგზავნის, გზით. სტაციონარული მომსახურების უზრუნველყოფის აუცილებლობა აშკარაა, რადგანაც ერთ-ერთი კვლევის თანახმად, "თბილისის მცხოვრებთა მხოლოდ 6 პროცენტს (90 000 ადამიანს) შეუძლია სტაციონარული მომსახურების ხარჯების დაფარვა ფულის სესხების ან ოჯახის ფინანსური სახსრების სრულად ამოწურვის გარეშე.

რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ან თავად პოლისების მფლობელებს (ან სულაც ორივე მხარეს) მეტი ფულის გაღება მოუწევთ. სქემის ამჟამინდელი სტრუქტურა ამისათვის საჭირო სტიმულს არ შეიცავს. თუ მოქალაქე უფრო ფართო პოლისის შეძენას გადაწყვეტს, რომლის ღირებულება თვეში 15 ლარია, ის ავტომატურად დაკარგავს სახელმწიფო სუბსიდიას.

ასეთი ცვლილება აგრეთვე ხელს შეუწყობდა პოლისებზე მოთხოვნის ზრდას. ბოლო გამოკითხვით, ადამიანებმა, რომლებიც თავდაპირველად დაინტერესებულნი იყვნენ5-ლარიანი პაკეტის შეძენით, გადაიფიქრეს, როდესაც გაიგეს, თუ რას სთავაზობდნენ მათ. ასე რომ, უკეთესი პაკეტი არა მხოლოდ მომსახურებას გააუმჯობესებს, არამედ იმასაც უზრუნველყოფს, რომ პოლისი მეტმა ადამიანმა შეიძინოს.

ეს ძალზედ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგანაც მხოლოდ სქემაში ბევრი ადამიანის მონაწილეობის გზით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული მოვლენა, რომელსაც კომპანიები არახელსაყრელ სელექციას უწოდებენ. ეს გულისხმობს, რომ პოლისებს ძირითადად ის პირები ყიდულობენ, ვისი ავად გახდომის რისკიც უფრო მაღალია. ბევრი ადამიანის მონაწილეობა ქმნის ვითარებას, რომელსაც ანტისელექციას უწოდებენ. ეს თავის მხრივ გულისხმობს, რომ შესაძლებელი გახდება უკეთესი პროდუქტის შეთავაზება უფრო დაბალ ფასად. მოთხოვნის ზრდა სადაზღვევო კომპანიებს ფაქტობრივად შესაძლებლობას მისცემს, რომ მოქალაქეებს იგივე პროდუქტი შესთავაზონ, რომელსაც ამჟამად კორპორატიული კლიენტები იღებენ, თანაც იმავე ფასად.

მოქალაქეების წახალისება, აირჩიონ უფრო ფართო და ძვირი პაკეტები, კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება - სისტემაში დამატებითი სახსრების მოზიდვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოს უუნარობას, ჯანდაცვის სექტორი სათანადო დაფინანსებით უზრუნველყოს.

ამისთვის აუცილებელია, რომ მოქალაქეებს უკეთესი პროდუქტების შეძენის სტიმული მიეცეთ. ასეთი სტიმული შეიძლება იყოს ყოველთვიურ გადასახადში სახელმწიფოს წილის გაზრდა, ან საგადასახადო შეღავათი, როგორც ეს ზოგიერთ სახელმწიფოში კეთდება.

ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ქართულ ჯანდაცვის სისტემასთან შეხება ჰქონია, დაგვეთანხმება, რომ ცვლილება აუცილებელი იყო. დაზღვევის ე.წ. 5-ლარიანი სქემა შეიძლება სულაც არ იყო "ახალი და შესანიშნავი სოციალური ინიციატივა, მაგრამ სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო. სათანადო კორექტირების შემთხვევაში ამ სქემამ შესაძლოა საქართველოს მოსახლეობის წინაშე მდგომი ჯანდაცვის პრობლემების მოგვარებას ხელი რეალურად შეუწყოს. ის გარკვეულწილად არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული კორუფცია პაციენტთათვის არჩევანის შეზღუდულობა, კონკურენციის არარსებობა, მედიკამენტებზე მაღალი ფასები და სხვ. და ეფუძნება მექანიზმს, რომლითაც გაწეული მომსახურების დაფინანსება მიღებული შედეგების შესაბამისად ხდება. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალი სქემა, მოქალაქეთა დაზღვევით დაინტერესებით, ქმნის იმის პოტენციას, რომ ჯანდაცვის სექტორის დაფინანსება გაიზარდოს.

თუ ახალი სადაზღვევო სქემით შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების არეალი გაიზრდება და მისი რეგულირების მექანიზმები, როგორც სადაზღვევო კომპანიებში, ასევე ხელისუფლების დონეზე, დაიხვეწება, დაზღვევით უფრო მეტი მოქალაქე დაინტერესდება და შეღავათიანი დაზღვევა საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებზე დადებითად იმოქმედებს.

ენერგოკრედიტი
შეცვალე გარემო შენს სასარგებლოდ

European Bank
for Reconstruction and Development

მოწვევა ენერგო ეფექტური მოწყობილობებისა და მასალების მომწოდებელთა რეგისტრაციაზე

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ადგილობრივი ბანკებისათვის გამოყოფილია 35 მილ. აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი მაღალი ხარისხის ენერგო ეფექტური მოწყობილობების დასაფინანსებლად. თიბისი ბანკის ახალი სამომხმარებლო სესხის ოფიციალური პრეზენტაცია მოხდება ოქტომბერში, რაც მომავალში სხვა ადგილობრივ ბანკებშიც გახდება ხელმისაწვდომი.

გათვალისწინებულია BP-ის მიერ სესხებისათვის 15%-იანი სუბსიდია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კონსულტანტები, საქართველოს ენერგო ეფექტურობის პროგრამის გუნდი, რომელიც შედგება ადგილობრივი და საერთაშორისო ინჟინრებისგან, განსაზღვრავენ და დაამტკიცებენ სესხის ფარგლებში შესაბამის მოწყობილობებს.

სესხით გათვალისწინებულია შემდეგი სახის პროდუქტების დაფინანსება:

- ფანჯრები ორმაგი შემინვით
- შენობების კედლების, სახურავებისა და იატაკების თბოიზოლაცია
- ბოილერები და ცენტრალური გათბობის სისტემები
- მზის თერმული სისტემები ცხელი წყლისათვის და ცენტრალური გათბობისათვის
- მაღალი ეფექტურობის ბიომასის ღუმელები
- ბიოდაიჯესტერები საოჯახო მეურნეობებისათვის

მომწოდებლებისათვის სავალდებულოა პროდუქტების მონტაჟი და კლიენტისათვის შესაბამისი გარანტიის უზრუნველყოფა.

შერჩეული მომწოდებლები მიიღებენ შემდეგი სახის უპირატესობებს:

- კლიენტებისათვის ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა
- საკუთარი პროდუქტებისა და მომსახურეობის რეკლამირება

ენერგო ეფექტურობის გუნდის მიერ მოხდება პროდუქტებისა და მომსახურეობის შემოწმება და შერჩევა შესაბამისობის კრიტერიუმების თანახმად, რის შემდეგაც შერჩეული მომწოდებლების ვინაობა და პროდუქტების ჩამონათვალი განთავსდება პროექტის ვებ-გვერდზე და მონაწილე ბანკებში. რეგისტრაციისათვის ბოლო ვადა არ არის ამჟამად დადგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომწოდებლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ნებისმიერ დროს.

მომწოდებლებს, რომელთა პროდუქტები და მომსახურეობა პასუხობს ჩვენს შესაბამისობის კრიტერიუმებს ვიწვევთ ჩვენს ვებ-გვერდზე
www.energocredit.ge
რეგისტრაციისათვის, ხოლო ტექნიკური ინფორმაცია პროდუქტების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:
office@geep.ge.
შესაბამისობის კრიტერიუმებზე დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი:
www.energocredit.ge.

ენერგო ეფექტურობის პროექტის მისამართია, ფალიაშვილის ქ. 17, ტელ.
22 49 62, ელ-ფოსტა: office@geep.ge.

სუბსიდირების ეს სქემა BP-ს და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროექტის, ენერგოეფექტურობის და ენერგეტიკის სფეროში განათლების პროგრამა ქართული სოფლებისთვის, ნაწილია. პროექტის უმთავრესი მიზანია მომხმარებლის ცოდნის დონის ამაღლება ენერგიის ეფექტურ და უსაფრთხო გამოყენებაში და ასევე ენერგო ეფექტური წყაროების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

bp SOCAR StatoilHydro Chevron INPEX TP ExxonMobil devon ENERGY ITOCHU AzBTC TOTAL HESS LUKOIL NICO Eni ConocoPhillips

ბორის ბერეზოვსკი საქართველოში არ ყოფილა

შს სამინისტრო ბორის ბერეზოვსკის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის განცხადებით, ბერეზოვსკი საქართველოში არ ყოფილა.

არადა, გავრცელებული ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში მცხოვრები რუსეთის მიერ დევნილი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი 11 სექტემბერს თბილისში იყო და ბადრი პატარკაციშვილის საფლავზეც მივიდა. მისი თვითმფრინავი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 17 სექტემბერსაც დაფიქსირდა. ***ინტერპრესნიუსი***

ადვოკატი დააკავეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამსახურებრივი ინსპექტირების დეპარტამენტმა დააკავა ადვოკატი კახა ვიბლიანი. გამოძიების მტკიცებით, ადვოკატმა ყაჩაღობისა და ქურდობისთვის ბრალდებულ რაფაელ ისაევს და მისი ოჯახის წევრებს საპროცესო შეთანხმების დადების მოტივით, მოტყუებით გამოართვა და მიისაკუთრა 50 ათასი ლარი. მოგვიანებით კი მსჯავრდებულ რაფაელ ისაევს და მის ახლო ნათესავებს უკვე შეწყალებით განთავისუფლების სანაცვლოდ გამოართვა 15 ათასი დოლარი.

გარდა ამისა, კახა ვიბლიანმა, ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვისათვის მსჯავრდებულ ვიტალი ტადიევის შეწყალების გზით განთავისუფლების სანაცვლოდ თაღლითურად მიისაკუთრა 18 ათასი დოლარი.

კახა ვიბლიანს ჩხრეკისას აღმოაჩნდა დაახლოებით 14 ათასი დოლარი. მას ბრალი დიდი ოდენობით სხვისი კუთვნილი თანხის თაღლითურად დაუფლებისათვის წარედგინა, რაც თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

საკანონმდებლო ცვლილებები პრობაციონერებისთვის

პრობაციონერის მიერ საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთისთვის ან გადაკვეთის მცდელობისთვის პასუხისმგებლობა წესდება.

ამ საკითხს "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს.

როგორც კანოპროექტის ავტორები აცხადებენ, გასული წლების პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ მსჯავრდებულები ხშირ შემთხვევაში უნებართვოდ ტოვებდნენ საზღვარს, რაც შემდგომ მათზე ძებნის გამოცხადების საფუძველი ხდებოდა.

კანონპროექტით კი, პრობაციონერის მიერ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გარეშე საზღვრის გაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა 500-დან 1000 ლარამდე დაჯარიმდება. სასჯელის ფორმად განისაზღვრება ადმინისტრაციული პატიმრობაც 30 დღემდე ვადით.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტია. რაც შეეხება პრობაციონერის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვას, მისი მიღება გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ იქნება შესაძლებელი. **ინტერპრესნიუსი**

მუხროვანის ამბოხის სასამართლო განხილვა

პირველი გვერდიდან

გია ღვალაძე ბოლო სასამართლო სხდომაზე უნდა დაკითხულიყო, თუმცა, ის შეუძლოდ გახდა. ამბოხების საქმეში ძირითადი ბრალდებულები - ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები სასამართლოს ჩენებას სწორედ გია ღვალაძის დკითხვის შემედგ მისცემენ.

სწორედ გია ღვალაძე გახლავთ იმ ფარული ოპერატიული ვიდეომასალების მთავარი გმირი, რომლებიც, თავის დროზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა. მუხროვანის სამხედრო ნაწილში მომხდარი ამბოხის შესახებ ინფორმაცია სწორედ ამ ოპერატიული ვიდეომასალების საშუალებით გახდა ცნობილი. ფარულ ვიდეოჩანაწერებში ბატალიონ "დელტას" ყოფილი ხელმძღვანელი გია ღვალაძე რამდენიმე პიროვნებასთან ერთად სამხედრო ამბოხების დეტალებზე საუბრობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ფარულ ვიდეო-ჩანაწერში, სამხედრო ამბოხში ეჭვმიტანილი გია ღვალაძე რამდენიმე გენერალსა და ყოფილ პოლიტიკურ ფიგურას ასახელებდა, რომლებიც, მისივე თქმით, ამბოხებულთა გვერდით იდგნენ. ფარულ ვიდეოჩანაწერში გია ღვალაძე აცხადებდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდებოდნენ ასლან აბაშიძე, ქიბარ ხალვაში, ლევან მამალაძე და ლევან პირველი. ამბოხებულთა გვერდით მყოფთა კონტექსტში ის ასევე ვინმე კანდელაკს ასახელებდა.

ფარულ ვიდეოჩანაწერში გია ღვალაძე აცხადებდა რომ ამბოხებულებთან ერთად იქნებოდნენ გია ყარყარაშვილი, დავით თევზაძე, კობა კობალაძე, ჯემალ გახოკიძე, გია კრიალაშვილი, ფირცხალაიშვილი.

გია ღვალაძის დაკითხვა, სავარაუდოდ, დიდ ხანს გაგრძელდება, რადგან, მასთან უამრავი კითხვა აქვს, როგორც ბრალდების, ასევე განსასჯელების დაცვის მახერსაც. განსასჯელების ადვოკატები აცხადებენ, რომ პროკურატურის მხრიდან გია ღვალაძის მიმართ ადგილი აქვს ზეწოლას.

"გია ღვალაძეს, მოულოდნელად, ადვოკატი შეუცვალეს და მისი დამცველი სახაზინო ადვოკატი გახდა. პროკურატურა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გია ღვალაძემ სასამართლო პროცესზე ის თქვას, რასაც ეტყვიან. სწორედ მის მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაზეა დამოკიდებული საქმისთვის ბევრი რამ," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდლის, გენერალ კობა კობალაძის ინტერესების დამცველმა გელა ნიკოლაიშვილმა. მისი დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულს არ აღიარებს. დანაშაულს არ აღიარებს ასევე მუხროვანის ბატალიონის ყოფილი მეთაური კობა ოთანაძე.

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განმარტებით, დასაკითხ პირთა განრიგს პროკურატურა ადგენს და როგორც წესი, იმ განსასჯელების დაკითხვა, რომლებიც დანაშაულს არ აღიარებენ, ყველაზე ბოლოს ხდება.

ე.წ. უდოს კომისიის წევრობის ხუთი არასამთავრობო კანდიდატურა

ბოლო წლების მანძილზე ყბადაღებული პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი რამდენმე დღეში საბოლოოდ მოგვარდება. "პატიმრების შესახე" კანონში შეტანილი ცვლილებით, ე.წ. უდოს მუდმივმოქმედი კომისიის პირველი სხდომა სექტემბრის ბოლო დღეებში ჩატარდება. თუმცა, მანამდე ახალი ცვლილებების თანახმად, კომისია ახალი წესით, ახალი წევრებით უნდა დაკომპლექტდეს.

"პატიმრობის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის არსებობის ადგილი და ფორმატი, ასევე კომისიაში შემავალ პირთა წრე. კერძოდ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, კომისიაში ცხრა წევრი შევა. აქედან ექვსი სამინისტროს წარმომადგენელი იქნება. დარჩენილ სამ ადგილს კი პარლამენტის უმრავლესობის, მის გარეთ მყოფი დეპუტატების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები როტაციის პრინციპით დაიკავებენ. ისინი სამ თვეში ერთხელ შეიცვლებიან.

უკვე ცნობილია კომისიის თავმჯდომარის ვინაობა, ამ თანამდებობაზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თავისი მოადგილე ლევან ზარანდია დანიშნა. კომისიაში პარლამენტის კვოტით უკვე წარდგენილები არიან პარლამენტის უმრავლესობიდან გია არსენიშვილი, უმცირესობიდან კი დიმიტრი ლორთქიფანიძე.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს კომისიაში სულ ექვსი წარმომადგენელი ეყოლება. თუმცა, მათი ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. როგორც მინისტრმა განაცხადა, უახლოეს დღეებში მოხდება მათი შერჩევა და პრეზენტაცია.

უცნობია არასამთავრობო სექტორის ნდობით აღჭურვილი პირის საბოლოო ვინაობაც.

რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაიბარა. შეხვედრაზე მუდმივმოქმედი კომისიის დაკომპლექტებაზე იმსჯელეს.

ამის შემდეგ 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" შეიკრიბა, სადაც ფარული კენჭისყრის შედეგად 13 კანდიდატურიდან ხუთი კანდიდატურა შეარჩიეს. ესენი არიან "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი, "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელი ლია მუხაშავრია, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარე მანანა კობახიძე, ორგანიზაცია "არ მკითხოს" წარმომადგენელი გია თევზაძე და ყოფილი ჟურნალისტი თამაზ ბაკურიძე.

შეხვედრა პროტესტის ნიშნად "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" ხელმძღვანელმა კოკი იონათამიშვილმა დატოვა, რომელიც ხუთ არჩეულ კანდიდატს შორის ვერ მოხვდა.

პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების ე.წ. უდო-ს კომისიაში არასამთავრობო სექტორის ხუთ კანდიდატს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს დღეს წარუდგენენ.

საია-ს თავმჯდომარის თამარ ხიდაშელის განცხადებით, ხუთი კანდიდატიდან მინისტრი დიმიტრი შაშკინი პარასკევისთვის ერთს შეარჩევს, რომელიც ე.წ. უდო-ს კომისიაში არასამთავრობო სექტორის კვოტით შევა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის დიმიტრი შაშკინის თქმით, ვადაზე ადრე გათავისუფლების, ე.წ. უდო-ს კომისიის პირველი სხდომა ახალი შემადგენლობით 30-31 სექტემბერს ჩატარდება და კომისია 100-ზე მეტი პატიმრის საქმეს განიხილავს. კომისიის სხდომა კი ყოველი თვის ბოლოს ჩატარდება.

საკუთარი ინფორმაცია

განცხადება

ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა აცხადებს აუქციონს, მის ბალანსზე რიცხული, მოსულიშვილის ქ. N@1-ში მდებარე შენობის I სართულზე 58 მ.კვ ფართობის იჯარით გაცემის თაობაზე. (სკოლის სასადილოს მოწყობისათვის) იჯარის ვადა: 10 წელი - საწყისი ყოველთვიური ქირა 100 ლარი, ბე 100 ლარი, ბილეთის ფასი 5 ლარი, ბიჯი 10 ლარი სკოლის ანგარიშზე ჩარიცხვით. საკონკურსო პირობები: 1. ეკოლოგიური, სანიტარულ ჰიგიენური და ხანძარ საწინააღმდეგო პირობების დაცვა; 2. საიჯარო ფართში ელექტროენერგიის, წყლის განმხოლოება; 3. დაკავებული ფართის მიხედვით ზამთრის პერიოდში პროპორციულად გაზის საფასურის გადახდა; 4. ბუფეტის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია;

განაცხადები მიიღება: 2009 წლის 21 სექტემბრიდან 21 ოქტომბრის 1200 საათამდე; აუქციონი - 19.09. 14 საათი. განცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსულიშვილის ქუჩა N1. N160-ე საჯარო სკოლა საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკის" ც.ფ. კოდი 220101502; ა/ნ 119930700.

ტელ: 58 56 34

ტორონტოში ქართველი გოგონა უგზო-უკვლოდ დაიკარგა

14 სექტემბერს ტორონტოში 17 წლის მარიამ მახნიაშვილი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

ტორონტოს ტელევიზიის ინფორმაციით, მახნიაშვილი 14 სექტემბერს უმცროს ძმასთან ერთად, ადგილობრივი დროით შვიდი ნახევარზე "ფორესთ ჰილის" სკოლაში მივიდა. მან თავის ძმას უთხრა, რომ სკოლაში სხვა შესასვლელიდან შევიდოდა. ამის შემდეგ, მახნიაშვილი გაუჩინარდა.

მარიამ მახნიაშვილს კ-9 ქვედანაყოფი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების თანამშრომლები და ცხენოსანი პოლიცია ეძებს. ტორონტოში მესამე დონის საძიებო ოპერაციაა გამოცხადებული.

პოლიცია სკოლიდან 4 კილომეტრის რადიუსში ადგილობრივი მაცხოვრებლების დაკითხვას ახორციელებს. ჩხრეკენ გარაჟებს და დამხმარე ნაგებობებს. 17 წლის ქართველის ძებნაში მოხალისეებიც მონაწილეობენ.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მახნიაშვილების ოჯახი კანადაში 2008 წლის ზაფხულში გადავიდა საცხოვრებლად. ბავშვების მშობლები ლელა და ვახტანგ მახნიაშვილები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ლოს-ანჯელესში ცხოვრობდნენ და ტორონტოში გადასვლის შემდეგ, საქართველოდან კანადაში ბავშვებიც ჩაიყვანეს.

ბავშვების მშობლებმა ტორონტოში პრესკონფერენციაც გამართეს, რომელზეც დაკარგული არასრულწლოვანის დედამ ლელა მახნიაშვილმა განაცხადა, რომ მან ბოლოს შვილი 14 სექტემბერს ნახა, როდესაც სკოლაში აცილებდა.

დეტექტივ სტივ მაკკილვეინის თქმით, კანადის პოლიცია დაკარგულის წარსულის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, საქართველოში დარჩენილ მახნიაშვილების ოჯახის წევრებთან დაკავშირებას აპირებს. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, მარიამ მახნიაშვილს არ ჰქონდა მობილური ტელეფონი. სკოლის შენობაზე კი სათვალთვალო კამერები არ იყო დამონტაჟებული.

მედიანიუსი

საარჩევნო კომისიამ ყარზაი გამარჯვებულად გამოაცხადა

თამთა კახაძე

ავღანეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების 100 პროცენტის დათვლის შედეგად გამოაცხადა, რომ ჰამიდ ყარზაიმ ხმების 54,62 პროცენტი მიიღო, ხოლო მისმა მთავარმა ოპონენტმა აბდულა აბდულამ - 27,75 პროცენტი. თუმცა ქაბულში გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკავშირის დამკვირვებლებმა, რომლებიც 20 აგვისტოს ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მომხდარი დარღვევებისა და ფალსიფიკაციის ფაქტებს იკვლევენ, განაცხადეს, რომ შესაძლოა გაყალბებულია, დაახლობით, 1,5 მილიონი ამომრჩევლის ხმა. საეჭვო ბიულეტენების 3/4 მოქმედი პრეზიდენტის სასარგებლოდ არის გაყალბებული.

ბიულეტენების 92,8 პროცენტის დათვლის შედეგად ყარზაიმ თითქმის ორჯერ გაუსწრო მთავარ ოპონენტს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელ აბდულა აბდულას. დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიის მონაცემებით, დარღვევების გამო ბიულეტენების 2,15 პროცენტი ამოღებულია ხმის მიცემის შედეგებიდან და, როგორც კომისია აღნიშნავს, მათ ძალა დაკარგული ექნებათ მანამ, ვიდრე არ დადასტურდება აღნიშნული ბიულეტენების ნამდვილობა. კომისიამ, რომელიც არჩევნების სამართლიანობას იკვლევს, განაცხადა, რომ სასურველია ბიულეტენების, დაახლოებით, 10 პროცენტის ხელახლა გადათვლა, რადგან ისინი შესაძლოა, გაყალბებულია. საქმე ეხება ქვეყნის ყველა პროვინციის 2500 საარჩევნო უბანს. მთლიანად ხმის მიცემა 25450 საარჩევნო უბანზე მიმდინარეობდა.

აბდულა აბდულა კი აცხადებს, რომ მისი მონაცემებით ბიულეტენების, დაახლოებით, 20 პროცენტი გაყალბებულია. აქედან გამომდინარე, აბდულა მეორე ტურის ჩატარებას ითხოვს. მისი აზრით, ეს არჩევნებისადმი ხალხის ნდობას აღადგენს.

წინა კვირას ამერიკამ მოუწოდა ავღანეთის ხელისუფლებას, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები იმგვარად დაეთვალა, რომ არც ადგილობრივ ამომრჩევლებს გასჩენოდათ ეჭვი და არც საერთაშორისო საზოგადოებას. ავღანეთში აშშ-ს ელჩ კარლ აიკენბერის თქმით, არსებობს გაყალბების ბევრი შემთხვევის დამადასტურებელი ფაქტები. თუმცა ავღანეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხმების ხელახლა დათვლას. გაერო-ს წარმომადგენლობასთან არსებული არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების განმხილველი კომისიის ხელმძღვანელმა გრანტ კიპენმა განაცხადა, რომ დარღვევებს მთელი ქვეყნის მასშტაბით 2500 საარჩევნო უბანზე ჰქონდა ადგილი.

ავღანეთის პრეზიდენტი კი ირწმუნება, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა. მისი სიტყვებით, "ის, უბრალოდ, გააკვირვა და დააფიქრა" ევროკავშირის დამკვირვებლების განცხადებებმა, რომ შესაძლოა ხმების მეოთხედი გაყალბებულია. ჰამიდ ყარზაის თქმით, გაყალბების ფაქტები ქვეყნის საკონსტიტუციო ორგანოებმა უნდა გამოიძიონ.

"ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნები იყო სამართლიანი, ავღანელი ხალხი და ავღანეთის მთავრობა ამ პროცესში სამართლიანი გახლდათ," - განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.

ჰამიდ ყარზაიმ აღიარა, რომ ზოგიერთი ოფიციალური პირი არ იყო მიუკერძოებელი და სურდათ მისი გამარჯვება, ისევე როგორც იყვნენ აბდულას მხადამჭერები. ეს გარდაუვალია, "სანამ ავღანეთი არ გადაიქცევა უფრო სტაბილურ სახელმწიფოდ," - აღნიშნა ყარზაიმ. მისი თქმით, 20 აგვისტოს არჩევნებში ფართომასშტაბიანი დარღვევები არ ყოფილა. "შეიძლება იყო ერთეული შემთხვევები, მაგრამ მსგავსი რამ ყველა ქვეყანაში ხდება," - დაამატა მან.

ჩრდილოეთ კავკასიაში ძალადობის არე ფართოვდება

ივა ჭილაკავა

ჩრდილოეთ კავკასიაში ძლადობა არ ცხრება, ერთმანეთს ენაცვლება მკვლელობები და სამართალდამცავი ორგანოების სპეცოპერაციები, რომლებიც, როგორც წესი, ლიკვიდაციით მთავრდება. გამოუცხადებელი და განსაკუთრებულად სასტიკი ომი მიმდინარეობს პრინციპით - "ტყვეები არ აგვყავს". სამართალდამცავებს თითქოს დაავიწყდათ, თუ რა არის დაპატიმრება.

გუშინ ყველაზე საყურადღებო და შემაშფოთებელი იყო ძალადობის არეალის გაფართოება. ყარაჩაი-ჩერქეზეთში, სადაც აქამდე შედარებითი სიმშვიდე იყო, გახმაურებული მკვლელობა მოხდა. აქამდე ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე ცხელ წერტილებად ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი და ამ რეგიონის დასავლეთ ნაწილში - ყაბარდო-ბალყარეთი მიიჩნეოდნენ.

დილის ათის ნახევარზე ჩერკესკის ცენტრში მანქანაში ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და სტავროპოლის მხარის მუსლიმების სასულიერო მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე, ისლამური ინსტიტუტის რექტორი ისმაილ ბოსტანოვი ჩაცხრილეს. მის შუქნიშანთან გაჩერებულ მის ავტომობილს გვერდზე ჩავლილი მანქანიდან გაუხსნეს ცეცხლი. ბოსტანოვი ადგილზე გარდაიცვალა, მანქანაში მყოფი მისი შვილი დაიჭრა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს ძიება, საქმეში მეზობელი რეგიონის - სტავროპოლის მხარის სამართალდამცავებიც ჩაერთვნენ, რადგან ტერორისტების მანქანას იქაური სახელმწიფო ნომრები ჰქონდა.

ბოსტანოვზე თავდასხმა ადრეც სცადეს. 2006 წლის დეკემბერში მას სახლში შეუვარდნენ, ცეცხლსასროლი იარაღიდანაც და დანებითაც დაჭრეს, უმოწყალოდ სცემეს და მისი სახლიდან 200 ათასი რუსული რუბლიც გაიტაცეს.

ბოსტანოვის მკვლელობა ადგილობრივმა მუსლიმებმაც და ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაგმეს. განსაკუთრებული აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ ეს დანაშაული მუსლიმებისთვის წმინდა რამადანის პერიოდში მოხდა. ყარაჩაი ჩერქეზეთისა და სტავროპოლის მხარის მუსულმანების სასულიერო ლიდერ ისმაილ ბერდიევს მიაჩნია, რომ ბოსტანოვი თავისი პრინციპული პოზიციების გამო ვახაბიტებმა მოკლეს. ბოსტანოვის მკვლელობა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმაც დაგმო, რომელიც ასეთ ფაქტებს მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში "უყურადღებოდ" არასდროს ტოვებს.

გუშინ სროლა ინგუშეთშიც იყო. ნაზრანის რაიონში ფედერალურ მაგისტრალ "კავკაზზე", სოფელ გაზიიურტთან დაცხრილეს ავტომანქანა, რომელშიც სამართალდამცავები ისხდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსტრემიზმთან ბრძოლის ცენტრის ორი თანამშრომელი დაიღუპა, ერთი დაიჭრა.

სპეცოპერაცია დაღესტანშიც ჩატარდა. უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა ბოევიკების ერთ-ერთი ლიდერი აბდულა საადულაევი (დაუდი) და მისი თანმხლები ორი თანამებრძოლი. საადულაევი დაღესტნის "ამირის" უმალატ მაგომედოვის ერთ-ერთ უახლოეს თანაშემწედ მიიჩნეოდა და შარიათის სასამართლოს უმაღლესი მოსამართლის როლსაც ასრულებდა. სპეცოპერაცია უკვე "აპრობირებული" მეთოდით განხორციელდა. პოლიციამ მათი მანქანის გაჩერება სცადა, იქიდან სროლა გაისმა და სამართალდამცავებმაც ბოევიკები საპასუხო ცეცხლით ჩაცხრილეს.

სხვათა შორის, კავკასიაში მოსკოვის მოქმედება უკვე დასავლეთის ყურადღებას იქცევს. ბრიტანულ "თაიმსში" გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც კონკრეტულ ფაქტზე და მის განზოგადებაზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ კრემლი კავკასიაში "სასტიკ და საიდუმლო ომს აწარმოებს". სპეცსამსახურების საფარქვეშ შექმნილი სიკვდილის ბრიგადები ე.წ. სპეცოპერაციების დროს ხოცავენ ადმიანებს, რომლებსაც ხშირად საერთოდ არა აქვთ კავშირი შეიარაღებულ იატაკქვეშეთთან, მაგრამ შემდეგ მათ მაინც ბოევიკებად ასაღებენ.

დასავლეთი რუსეთს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს

პირველი გვერდიდან

ნატო-ს გენერალური მდივანი ვრცლად შეეხო ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივას, რომლის თანახმადაც, ნატო ჩეხეთსა და პოლონეთში ანტისარაკეტო სისტემებს აღარ განალაგებს. მან აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს ნატო საერთოდ უარს ამბობს თავდაცვასა და ანტისარაკეტო ფარზე. უბრალოდ, ეს სისტემა შეიძლება უფრო ფართო და ყოვლისმომცველი გახდეს და მასში რუსეთიც კი ჩაერთოს. ეს ამერიკის ყველა პარტნიორსა და მეგობარ ქვეყანას შეეხება და 21 საუკუნის საფრთხეებისგან დაუცველი არავინ დარჩება.

უახლოეს წლებში ნატო-ს სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არქტიკის უსაფრთხოება იქნება და ამ სფეროშიც რუსეთის მხრიდან პოზიტიურ თანამშრომლობას ელიან.

რუსეთში რასმუსენის გამოსვლა დადებითად აღიქვეს და მას ნატო-ში რუსეთის ელჩმა დიმიტრი როგოზინმა ოპერატიულად უპასუხა. აქვე გამოიკვეთა სფეროები, რომლებშიც ორივე მხარის ინტერესების თანხვედრა ხდება. როგოზინის სიტყვებით, მათ აღარ მოუწევთ საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება კალინინგრადში, თუ რუსეთის საზღვრების უშუალო სიახლოვეს, იგულისხმება პოლონეთი დ ჩეხეთი, არ იქნება ნატო-ს ანტისარაკეტო ფარი. თანამშრომლობის მთავარი მიმართულება კი მაინც ავღანეთია. როგოზინი ნატო-ს მოუწოდებს, ამ ქვეყანაში ვადაზე ადრე არ დაიხიოს უკან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება თალიბების გავლენა ცენტრალურ აზიაზე გავრცელდეს და კავკასიასაც მიაღწიოს, რაც მთელი მსოფლიოსთვის უდიდესი პრობლემა იქნება. რუსეთი ნატო-ს ამ მიმართულებით თანამშრომლობას "ჰპირდება", ოღონდ ნატო-ს გეგმების საქმის კურსში ყოფნა მასაც სურს.

რასმუსენის გამოსვლაში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გასაგები მიზეზების გამო ვირეშმაკულად აუარეს გვერდი. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ნატო-ს კარი კვლავ ღია რჩება საქართველოსა და უკრაინისთვის და როდესაც ეს ქვეყნები შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, აუცილებლად გახდებიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები. შემდეგ კი დაამატა, რომ რუსეთმა ეს საფრთხედ არ უნდა აღიქვას.

გუშინ ამერიკულ მედიაში შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსის სტატია გამოქვეყნდა, სადაც მინისტრი დაწვრილებით განმარტავს ობამას ადმინისტრაციის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების მიზეზებს. მისი სიტყვებით, ამ გადაწყვეტილებით ამერიკა და ნატო კი არ ასუსტებენ არამედ აძლიერებენ საკუთარ თავდაცვისუნარიანობას. დაზვერვის მონაცემებით, დღეს-დღეობით უფრო საშიშია უკვე არსებული ახლო და საშუალო რადიუსის ირანული რაკეტები, ვიდრე ისინი, რომელსაც ეს ქვეყანა მომავალში შექმნის. ამიტომ აქცენტი "პეტრიოტის" ტიპის უფრო ახალ სისტემებზე და უფრო მაღალი ტექნოლოგიის რადარებზე გაკეთდება. შესაბამისად, ეს სისტემები ირანთან უფრო ახლოს განლაგდება.

რობერტ გეიტსმა, ალბათ უფრო ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის ანუ "რესპუბლიკელი" ოპონენტების გასაჩუმებლად, ისიც აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება რუსეთის "ხათრით" არავის მიუღია და მოსკოვის განწობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

გუშინვე ამავე თემას "სი-ბი-ეს"-თან ინტერვიუში ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც შეეხო. მანაც აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება რუსეთის სიამოვნების მიზნით არ მიუღიათ, მაგრამ იმედი აქვს, რომ ამის შემდეგ რუსეთის პოლიტიკა "ნაკლებ პარანოიდული" გახდება. ობამას თქმით, **"რუსეთის ხელისუფლება არ განსაზღვრავს ჩვენი თავდაცვის სტრატეგიას. ჩვენ ჩვენთვის ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება მივიღეთ. ის საუკეთესოდ დაიცავს ამერიკელ ხალხს, ჩვენს ჯარებს ევროპაში და ჩვენს მოკავშირეებს". "თუ ამასთან ერთად რუსეთში ნაკლებად პარანოიდულად იქნებიან განწყობილნი და ირანის ატომური პროგრამისა და ბირთვული რაკეტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენთან უფრო ეფექტურად თანამშრომლობას დათანხმდებიან, ეს დამატებითი სარგებელია,"** - აღნიშნა ობამამ

უკვე აშკარაა, ობამამ ლამის ღიად განაცხადა, რომ რუსეთთან კონფიდენციალურ მოლაპარაკებებზე ამერიკელები პოლონეთსა და ჩეხეთში ანტისარაკეტო სისტემის განლაგებაზე უარის თქმას როგორც დათმობად წარმოადგენენ და კომპრომისზე წასვლას კრემლსაც მოსთხოვენ. შეიძლება აქ, ირანის საკითხის გარდა, შესაძლოა სხვა თემებიც ფიგურირებდეს, მაგალითად - ჩრდილოეთ კორეა.

ლუკაშენკო ევროპისკენ ფანჯარას ლიტვაში ჭრის

მარიკა იაშვილი

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო წინა კვირაში ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს შეხვდა და ვილნიუსში ლიტვურ-ბელარუსული ეკონომიკური ფორუმი გახსნა. ბელარუსის პრეზიდენტის განცხადებით, სახელმწიფოს ლიდერებს შორის ღია დიალოგი შედგა.

"ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები ევროკავშირის ქვეყნებთან არის შეთანხმებული და ამიტომაც, რასაც ჩვენ ვამბობთ, ეს ევროპული საზოგადოების აზრია," - მკაფიოდ აღნიშნა ლიტვის პრეზიდენტმა. მან იმედი გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობები გაღრმავდება და ისინი "პოლიტიკური დაახლოებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ წავლენ."

ბელარუსის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ "თავს არავის წინაშე დახრის." "ჩვენ გონიერი ხალხი ვართ და მოსმენა შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ ზეწოლას არ ავიტანთ," - განაცხადა ლუკაშენკომ ლიტვის პრეზიდენტთან მოლაპარაკების დროს. ბელარუსის ლიდერმა დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა დასავლეთთან დიალოგის წარმოებისთვის მზად არის, "თუ ეს ბელარუსი ხალხის ინტერესების შესაბამისად მოხდება და მათი მეზობლებისთვის საზიანო არ იქნება."

"ჩვენი პრინციპული პოზიციაა - ვიყოთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ხიდი," - აღნიშნა ლუკაშენკომ და დაამატა, რომ ევროპასა და რუსეთს შორის არჩევანის გაკეთება მიუღებლად მიაჩნია.

ვილნიუსში ლუკაშენკომ ევროკავშირს მშვიდი დიალოგის განახლებისკენ მოუწოდა და განაცხდა, რომ ამ პროცესისთვის ხელის შეშლას არ აპირებს. მისი თქმით, იმ მოსაგვარებელ პრობლემათა შორის, რომლებიც ევროკავშირისა და ბელარუსის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ დაგროვდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების ერთიან სისტემაში ბელარუსის მონაწილეობა და ქვეყნის მოქლაქეებისთვის შენგენის ვიზების გაიაფებაა.

ამასთანავე, საინტერესოა, რომ ლუკაშენკოს ვიზიტის განმავლობაში ლიტვასა და ბელარუსს ხელი არ მოუწერიათ შეთანხმებისთვის სასაზღვრო ზონაში გადაადგილების გამარტივების შესახებ, თუმცა დოკუმენტი, რომელიც სასაზღვრო ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს სავიზო რეჟიმის შერბილებას ჰპირდებოდა, ქვეყნებს შორის დიდი ხნის განმავლობაში თანხმდებოდა.

ლიტვაში ვიზიტი პრეზიდენტ ლუკაშენკოს ევროპაში გამგზავრების მეორე გახმაურებული ფაქტია მას შემდეგ, რაც ევროპამ მისთვის სავიზო შეზღუდვა მოხსნა. მინსკელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ვიზიტს ოფიციალური მინსკისა და უშუალოდ პრეზიდენტისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ექსპერტების აზრით, წინა ვიზიტი - რომის პაპთან შეხვედრა - პოლიტიკურად სრულფასოვანი არ იყო, რადგან პაპი ყველა მონანიე ცოდვილს იღებს, პრემიერ-მინიტრ ბერლუსკონისთან ვახშამი კი, რომელიც მაშინ შედგა, ხანმოკლე და არაოფიციალური იყო. ახლა კი შეხვედრა ლიტვის პრეზიდენტთან გაიმართა. ლუკაშენკო იმ ქვეყნის ლიდერს შეხვდა, რომელიც მზად არის, ოფიციალურ მინსკსა და ევროკავშირს შორის შუამავლის როლი იკისროს. **"საბოლოო ჯამში, დასავლეთის კარი სულ უფრო ფართოდ იხსნება ადამიანისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ევროპა დიქტატორად მიიჩნევდა,"** - აღნიშნავენ ექსპერტები.

მინსკელი პოლიტოლოგი ალექსანდრ კლასკოვსკი მიიჩნევს, რომ "ლიტვის გავლით" ლუკაშენკო თავისი მეოთხე საპრეზიდენტო პოსტისკენ მიიწევს. ახლა მთავარ ამოცანად რჩება მხოლოდ ევროპის დარწმუნება, რომ ბელარუსის ხელისუფლებას ლეგიტიმაცია გაუგრძელოს.

აღმოსავლეთ ევროპის კველევის ცენტრის ლიტველი ანალიტოკოსი ვიტაუტას სირიოს გირა აღნიშნავს, რომ **"ეს ვიზიტი ახალი გეოპოლიტიკური თამაშის - "ბრძოლა ბელარუსისთვის" - შემადგენელი ნაწილია."**

"ბელარუსის დემოკრატიზაციისა და ლუკაშენკოს რეჟიმის იზოლირების გეგმას, რომელიც დღემდე დომინირებდა, "ორმხრივი" სტრატეგია ცვლის: ერთი მხრივ, გრძელდება მუშაობა ბელარუსის ოპოზიციასთან, რაც დემოკრატიზაციის ხაზს წარმოადგენს და, მეორე მხრივ, მიმდინარეობს მუშაობა პოლიტიკურ რეჟიმთან, რომ ქვეყანა რაც შეიძლება ნაკლებად იყო დამოკიდებული რუსეთზე. ლუკაშენკოს ვიზიტიც სწორედ ამ "ორმხრივი" სტრატეგიის ნაწილია," - აცხადებს მკვლევარი.

მინსკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ლუკაშენკოს მიერ ვილნიუსში შეხვედრების გამართვის "დეტონატორად" ლიტვური ბიზნესი იქცა. ლიტვა ბელარუსის საგარეო ვაჭრობაში მეცხრე ადგილზეა. თუმცა ეკონომიკური ექსპერტების განცხადებით, ლიტველი ბიზნესმენები აპირებენ, კონკურენცია გაუწიონ ლატვიასა და კალინინგრადს ბელარუსული ტვირთის საზღვაო გადაზიდვაში. გარდა ამისა, მათ იმედი აქვთ, რომ ბელარუსის სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციაში მიიღებენ მონაწილეობას. ლუკაშენკოს ვილნიუსში საპროტესტო პლაკატებითაც შეეგებნენ. ბელარუსი პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებმა თეთრი და წითელი ქაღალდებით გაკეთებული პატარა თვითმფრინავებით პარლამენტის შენობის წინ, მდინარის ნაპირზე, ბელარუსის აკრძალული დროშა დახატეს. საპროტესტო აქციები პრეზიდენტის რეზიდენციასთანაც გაიმართა. ლიტვის პრემიერი და საგარეო უწყების ხელმძღვანელი ცოტა ხნის წინ ბელარუსის ოპოზიციის რამდენიმე ლიდერს შეხვდნენ. ლიტველი პარლამენტარები და პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ ბელარუსთან ურთიერთობების გამყარების პარალელურად, ოფიციალური ვილნიუსი არ აპირებს, მეზობელი ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ბელარუსელთა უფლებების დაცვის მოთხოვნაზე უარი თქვას.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ცნობით, ლიტვამ თავისი მეზობელი ისეთი უნდა მიიღოს, როგორიც არის და უნდა სცადოს, რომ ოფიციალური მინსკი დასავლეთის სისტემითა და "აღმოსავლეთის პარტნიორობის" პროგრამაში მონაწილეობით დაინტერესოს.

თუმცა მინსკელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ლუკაშენკო ევროპას თამაშის საკუთარ წესებს კარნახობს და ხშირად მიზანსაც აღწევს.

რევიუ

უკვე ორი დღეა, რაც პარიზის ლამის ნახევარი ზეიმობს. მულენ რუჟის კაბარეში ახალი წარმოდგენების სერია დაიწყო. 6 ოქტომბრამდე კაბარე საკუთარ 120-ე დაბადების დღეს ზეიმობს... ეს დაწესებულება პარიზის თავისებული, ფერადი, მხიარული და ბოჰემური კულტურისა და ყოფის ტაძარია. მულენ რუჟი არაა მხოლოდ ის ადგილი, სადაც მდიდარი ტურისტები შედიან, ანდა ხელმომჭირენი მის წინ ფოტოს იღებენ, არამედ პარიზული მეოცე საუკუნის ხატებაა. ჟოზებ ოლერმა და შარლ ზიდლერმა კაბარე 1889 წელს გახსნეს და ცოტა ხანში ეს გახდა ადგილი სადაც იკრიბებოდნენ არა მხოლოდ ლამაზი და გულახდილად ჩაცმული მოცეკვავე ქალები, არამედ იქცა ადგილად, სადაც ნახავდით ყველას, ვინც იმ დროისთვის ფრანგულ კულტურას ქმნიდნენ. მულენ რუჟის მსახიობები იმთავითვე გახდნენ არაერთი ხელოვანის შემოქმედების ინსპირატორნი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მათ ტულუზ ლოტრეკის მხატვრობაში ერგოთ.

ფოთის თეატრი ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში

პრობლემები, ტენდენციები, შედეგები

თამარ კიკნაველიძე

17 სექტემბერს, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრმა სეზონი პრემიერით გახსნა. რეჟისორ ზურაბ ბეგლარიშვილის მიერ რეი ბრედბერის რომანის - "451° F " (ოთხასორმოცდათერთმეტი გრადუსი ფარენჰაიტით - ტემპერატურა, რომელზეც იწვის ქაღალდი) მიხედვით განხორციელებული სპექტაკლი სეზონის დახურვისას ვნახეთ და შეიძლება ითქვას, რომ ამ დადგმამ განსაზღვრა სათქმელი, რომელსაც ქვემოთ ვიტყვი.

წარმოდგენის ნახვისას გამახსენდა სიახლე, რომლის დაბადების აუცილებლობაც ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა, კერძოდ: ინგლისურენოვან მოსახლეობაში სულ უფრო პოპულარულია მიკრობლოგებით გამდიდრებული სერვისი - Twitter, რომელიც ფართო მასებზეა ორიენტირებული და მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. ახლახანს მან საზოგადოებას შესთავაზა ლიტერატურული ნაწარმოებების უკიდურესად შეკვეცილი ვარიანტები, რომელთა სიდიდეც 140 ნიშანს არ აღემატება. ამის შესახებ ინფორმაცია არაერთმა სააგენტომ, ჟურნალ-გაზეთმა თუ ელექტონულმა გამოცემამ გაავრცელა... და ვიდრე გეტყოდეთ თუ რა კავშირშია ეს ყოველივე ფოთის თეატრში დადგმულ სპექტაკლთან, "მიკროკონსპექტის" რამდენიმე მაგალითსაც დაგისახელებთ: სემუელ ბეკეტის პიესა "გოდოს მოლოდინში" ასეა შეკვეცილი: "ვლადიმირი და ესტრაგონი დგანან ხესთან და ელოდებიან გოდოს. მათი სტატუსი არ იცვლება", ხოლო დევიდ ჰერბერტ ლოურენსის რომანის, "ლედი ჩატერლეის საყვარელის" შინაარსი უკიდურესად არის შემოკლებული - "არისტოკრატი ქალი მეტყევეს გაჰყვა". ამით იმის თქმა მინდა, რომ საკითხი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სპექტაკლში პრობლემატურია და ტექნიკური პროგრესის ტყვეობაში მოქცეული საზოგადოების მდგომარეობას ეხება, თანამედროვეობაშიც აქტუალურია. ამ თვალსაზრისით რეჟისორ ზურა ბეგლარიშვილის არჩევანი გასაგებია.

რეჟისორის მიერ ინსცენირებული რომანი სულიერებას მოკლებულ ადამიანებზე მოგვითხრობს. უფრო კონკრეტულად კი მოქმედება ვითარდება 2035 წელს, როდესაც წიგნის კითხვა და მისი შენახვა აკრძალულია. მეხანძრეები, რომლებიც ადრე ცეცხლს აქრობდნენ, ახლა წიგნებს წვავენ. მათ შორის გამონაკლისია გაი მონტეგი, რომლის ცხოვრებაც მას შემდეგ იცვლება, რაც ის წიგნებით ინტერესდება. აი, ასეთია ამ რომანის და ფოთის თეატრის სცენაზე გათამაშებული წარმოდგენის მოკლე შინაარსი. თუმცა, თემის აქტუალობის პარალელურად, სპექტაკლში წარმოჩინდა პრობლემათა ჩამონათვალი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლით.

როგორც აღვნიშნე, საქმე ეხება ტექნიკური პროგრესის ეპოქას, სადაც წიგნი აკრძალულია და შესაბამისად, არსებობს ენის სიწმინდის შენარჩუნების პრობლემაც.

გაგრძელება A10 გვერდზე

ფოთის თეატრი ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში

პირველი გვერდიდან

ეს უკანასკნელი სპექტაკლში ყოველგვარი ძალდატანებისა და გათამაშების გარეშე გამოიკვეთა. როგორი ქართულით მეტყველებენ სცენიდან - აი, ეს არის უპირველესი საკითხი, რომელმაც წარმოდგენის დაწყებისთანავე მომჭრა ყური.

თუ სცენოგრაფიის თვალსაზრისით, რომელიც რეჟისორს ეკუთვნის, სასაყვედურო არ გვაქვს, რადგან კოსტუმები კარგია, ხოლო დეკორაცია შეძლებისდაგვარად მორგებულია ფოთის თეატრის პატარა სცენას, იგივეს ვერ ვიტყვით ტექსტზე, რომელიც სცენიდან ისმის. სასიხარულოა, როდესაც რეჟისორი არჩევანს აკეთებს ლიტერატურულ მასალაზე, რომლის თემატიკაც მის სათქმელს ეხმიანება და ამისათვის რომანის გასცენიურებასაც არ უშინდება, მაგრამ მეორე საკითხია რამდენად გამართულია ტექსტი, რომელსაც მსახიობები წარმოთქვამენ. ამ მიმართულებით, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ არსებობს შეცდომები, რომელთა ნაწილიც გამოსწორებადია (მაგალითად, არსებითი და რიცხვითი სახელების შეუთავსებლობა), ნაწილს კი, ალბათ, აღარაფერი ეშველება, რადგანაც საქმე გვაქვს გაუმართავ წინადადებებთან, რომელთა გადაკეთებაც მსახიობებისთვის ტექსტის თავიდან დაზეპირების ტოლფასია.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ამ თეატრისთვისაც გადაუჭრელია და მაყურებლის მხრიდან სპექტაკლის აღქმაზეც ცუდად მოქმედებს, ტექნიკური აღჭურვილობაა. აი, ასეთ პირობებში რატომ გადაწყვიტა ზურა ბეგლარიშვილმა ეჩვენებინა "ტექნიკური პროგრესის ხანა", გაუგებარია. ამის წარმოჩენა მოძველებული ტექნიკით შეუძლებელია. შესაბამისად, სცენები, სადაც რეჟისორს მცდელობა აქვს მომავალში "გადაგვისროლოს" და ამას მხოლოდ მარტივი განათებითა და შავებში გამოწყობილი მეხანძრეების ერთფეროვანი მოძრაობებით ცდილობს, ნაკლებად დამაჯერებელია. როდესაც არ არსებობს გამართული ტექნიკური ბაზა, ვფიქრობ, რეჟისორმა აქცენტი მსახიობთა საშემსრულებლო ხელოვნებაზე უნდა გააკეთოს. სპექტაკლის ნახვისას კი შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მან ყველაზე ნაკლებად სწორედ მსახიობებზე იმუშავა.

შემოქმედებით ჯგუფს რაც შეეხება, სპექტაკლში დასის უმრავლესობაა დაკავებული. მასში მონაწილეობენ: გიორგი სურმავა, მარიკა ბუკია, რამინ კილასონია, ნანა ვასაძე, ნაირა ჭიჭინაძე, ჯანსუღ იზორია, ელგუჯა ქარაია, ფატიმა აბრახამია, ნათია კუპრავა, გიორგი ჭანტურია, ალექსანდრე გუჯაბიძე, დავით დიასამიძე, გიორგი ლიპარტელიანი, გიორგი ჯანყარაშვილი, კობა დარახველიძე, მირიამ ჯეჯელავა (ეკრანული პერსონაჟი). დადგმის ქორეოგრაფია ირინა კუპრავა, ხოლო მხატვარ-შემსრულებელი - მერაბ კვანტალიანი.

სამსახიობო ოსტატობის მხრივ, ამ შემთხვევაშიც იგივე პრობლემებთან გვაქვს საქმე, რომლებსაც მხოლოდ რეგიონალურ თეატრებში არ ვაწყდებით. ფოთის თეატრის მაგალითზე, ძალიან გამიჭირდება ისეთი მსახიობის დასახელება, რომელიც ამ საქმეში ბოლომდე დაოსტატებულია. ეს დასი პროფესიული ზრდის აუცილებლობის წინაშე დგას - მეტყველების, პლასტიკის, როლის გათავისების თუ პერსონაჟთა ხასიათების გახსნის თვალსაზრისით.

სცენა სპექტაკლიდან "451° F"

და მიუხედავად ყველაფრისა, წარმოდგენის მიმდინარეობისას მაყურებელს თვალზე ცრემლი მოადგა, განსაკუთრებით იმ სცენის დროს, როდესაც გაი მონტეგი (გიორგი სურმავა) პროფესორ ფაბერს (ნაირა ჭიჭინაძე) დაწვას გადარჩენილ ძველ აღთქმას გადასცემს. კულმინაციურმა ეპიზოდმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მსახიობის მიერ აქტუალური ტექსტის სწორ ემოციურ აღქმას მაყურებელზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. ალბათ, ამ ფაქტორმა განსაზღვრა ის, რომ წარმოდგენამ ადგილობრივი მაყურებელი დააინტერესა.

ზემოთ აქცენტი გავაკეთე პრობლემებზე, რომლებიც ამ წარმოდგენის მხატვრულ ხარისხს უკავშირდება. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხების მთელი რიგი, რომელთა განხილვა-გაანალიზებაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის "მაგრამ", რომელიც ამ თეატრის პროდუქციის ხარისხზე საუბრისას სპექტაკლების ერთი ხელის მოსმით გაკრიტიკების უფლებას გვართმევს.

ჩვენ თუ დავინტერესდებით რა პირობებში ფუნქციონირებს ფოთის თეატრი და იქმნება მისი პროდუქცია, მაშინ მივხვდებით, რომ სპექტაკლების მხატვრულ ხარისხზე მსჯელობა იქ არსებული პრობლემებისგან მოწყვეტით შეუძლებელია. პირადად მე ცალკეულ ფაქტორთა გათვალისწინების აუცილებლობაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ამ თეატრში მივედი და ვნახე, რომ იქ მსახიობებისთვის სამუშაოდ საჭირო პირობები არ არსებობს. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ფოთის თეატრის წარმომადგენლების მხრიდან ბოლო პერიოდში გამხორციელებული სპექტაკლები ერთგვარი დადასტურებაა მათი მცდელობისა გადაარჩინონ თეატრი და პრობლემების მიუხედავად ძალისხმევა არ დაიშურონ იმისათვის, რომ იქ შემოქმედებითი პროცესი წარიმართოს.

ამ კუთხით, ვფიქრობ, საგულისხმოა თეატრის განსხვავებული მდგომარეობა. მას საკუთარი შენობაც კი არ გააჩნია და დროებით, ახალი შენობის მშენებლობის დასრულებამდე, რომელიც 2010 წლისთვის იგეგმება, ძველ კულტურის სახლშია შეხიზნული.

იქ არსებული სირთულეების შესახებ შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლებისგან შევიტყვე. აქ უმნიშვნელოვანესია კიდევ ერთი ფაქტორი: მათ აქვთ სურვილი მოისმინონ თეატრმცოდნეებისა თუ რიგითი მაყურებლის აზრი და პირიქით, დიალოგი გამართონ ამ დარგის განვითარების გულშემატკივრებთან, ესაუბრონ მათ საკუთარ შემოქმედებით პრობლემებსა და სირთულეებზე, რომელთა დაძლევაც ყოველდღიურად უწევთ. მაგალითად, საპრემიერო დღეს შუქი თეატრში სპექტაკლი დაწყებამდე 10 წუთით ადრე მოვიდა, რამაც მსახიობები ორმაგად ანერვიულა.

როცა მაყურებელს ეპატიჟები უნდა შეეცადო, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინო და არ აკადრო მას თუნდაც ისეთი ტექსტი, როგორიც ქართული ენის დამახინჯებაში დაეხმარება. და რადგანაც მაყურებელი ვახსენე, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თეატრს, რომელსაც შენობის გამო სასულიერო წრესთან დიდი ხნის დავა ჰქონდა, ახლა მაყურებლის რანგში სასულიერო პირებიც აკითხავენ.

ზემოთ აღნიშნული ურთულესი პრობლემის მოგვარებით დაიწყო ჩემი დიალოგი აღნიშნული თეატრის მმართველთან, თენგიზ ხუხიასთან (პროფესიით იურისტ-ეკონომისტი). "თეატრის ძველ შენობასთან დაკავშირებული დავა ხელოვანებსა და სასულიერო წრის წარმომადგენლებს შორის, დაახლოებით, 15 წელი გაგრძელდა, რამაც შემოქმედებითი პროცესის განვითარებას ხელი შეუშალა. იმ დროს ქალაქში ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ვალერიან გუნიას სახელობის თეატრის გაუქმებასაც კი ითხოვდა", - გვითხრა თენგიზ ხუხიამ, რომელიც თეატრის დირექტორად 2005 წელს დაინიშნა (მმართველია - 2007 წლიდან), ანუ მას შემდეგ რაც თეატრის ძველი შენობა ოფიციალურად გადაეცა საპატრიარქოს (ხუხიას დანიშვნამდე ამ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე ჯანელიძე). ამის შემდეგ, ფოთის თეატრის წარმომადგენლები რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ძველ კულტურის სახლში შეასახლეს. 2006 წლამდე იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ამ პერიოდში დასი წარმოდგენების გასამართად სხვადასხვა სივრცეს იყენებდა, მაგალითად: "მეზღვაურთა კლუბს" და ქუჩას... - ეს იყო მცდელობა იმისა, რომ თეატრის შემოქმედებით ჯგუფს პროფესიაზე ხელი არ ჩაექნია, - აღნიშნა მმართველმა. ამავე პერიოდში შედგა "ვაკის თეატრალური სარდაფის" გასტროლები ფოთში სპექტაკლით "ქრონიკები" (რეჟისორი ოთარ ეგადე) და დაიდგა მოწვეული რეჟისორის, ხათუნა ბედელაძის მიერ გ. ნახუცრიშვილის პიესის მიხედვით განხორციელებული სპექტაკლი "როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი". აღსანიშნავია, რომ ამ მაგალითის შემდეგ ფოთის თეატრს რეჟისორების მოწვევის პრინციპისთვის არ უღალატია. ბოლო 5 წლის განმავლობაში აქ რეჟისორად იმუშავა ირაკლი გოგიამ ("ბუა", "მორფი", "ძალაუფლება", "პილონი"), გაგა გოშაძემ ("ზვავი", "თეატრი", "ვინ არის ვინ"), რალფ ზიბელტმა (პ. ტურინის "ვირთხებზე ნადირობა").

"ჩვენი თეატრის პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი ახალგაზრდა მაყურებლის დაინტერესებაზეც გავაკეთეთ და საბავშვო სპექტაკლი "ბუა" დავდგით. მოგვიანებით, ფოთის თეატრმა სპექტაკლები თბილისშიც ჩამოიტანა და მაყურებელი ჯერ "ვაკის თეატრალური სარდაფის" სცენაზე მიიწვია ლაშა ბუღაძის "თეატრის" (რეჟისორი ი. გოგია) სანახავად, შემდეგ კი - თუმანიშვილის თეატრში, სადაც გაგა გოშაძის მიერ დადგმული "ზვავი" წარმოადგინა. სპექტაკლის სანახავად მოსულ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა შემოწირულობა ფოთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სახელზე გაეღო. ამ ფაქტმა სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ აქამდე დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობა ახალ, ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილ ფაზაში გადავიდა", - გვითხრა თენგიზ ხუხიამ.

ფოთის თეატრმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალში "კავკასია 2007", სადაც ირაკლი გოგიას მიერ რეზო კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით დადგმული "პილონი" წარმოადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეთანხმებული მუშაობა არ გაჩერებულა შენობაში, სადაც თეატრთან ერთად დღემდე ფუნქციონირებს ფოლკლორის სახლი, ქორეოგრაფიული სტუდია და თოჯინების თეატრი.

თეატრისთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა 2008 წელი, როდესაც განხორციელდა ლევან ხეთაგურის (პროფესორი, ევროპის კულტურის პარლამენტის წევრი) იდეა და ოფიციალურად დაარსდა "საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელი" (თავმჯდომარე თენგიზ ხუხია), რომელშიც გაერთიანებულია საქართველოს ყველა რეგიონალური თეატრი, ასევე, თავისუფალი თეატრი, სამეფო უბნის თეატრი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რომელიც წევრის სტატუსით სარგებლობს. ამავე წელს ის ევროპის თეატრების ქსელის (IPM) წევრიც გახდა. ფოთის თეატრის ბოლო პერიოდის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული მოვლენაა გერმანელ რეჟისორთან - რალფ ზიბელტთან და მხატვართან - მაქს ჯულიან ოტოსთან თანამშრომლობა (სპექტაკლზე, სახელწოდებით "ვირთხებზე ნადირობა").

კითხვაზე, რატომ იწვევთ რეჟისორებს, თენგიზ ხუხიამ გვიპასუხა: - "ეს მეთოდი აპრობირებულია ევროპაში და ამ სისტემაზე ნელ-ნელა, ალბათ, ჩვენც გადავალთ... სხვადასხვა რეჟოსორთან მუშაობის პროცესი მრავალმხრივ საინტერესოა - თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ხელწერა, მუშაობის თავისებური სტილი და მანერა, რაც დასს საშუალებას აძლევს არ იყოს დამოკიდებული ერთ კონკრეტულ სკოლასა თუ ხელწერაზე...".

როგორც მმართველისგან შევიტყვეთ, თეატრი, რომლის დარბაზიც 110 მაყურებელს იტევს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხოლოდ 230 000 ლარით ფინანსდება. 60-მდე თანამშრომლის საშუალო ხელფასი კი 200-დან 350 ლარამდე მერყეობს, რაც მიზერია ადამიანებისთვის, რომლებიც მთელ დროსა და ენერგიას თეატრს უთმობენ. თუმცა, ამ დაწესებულების ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად რჩება ძალზედ ცუდი ტექნიკური აღჭურვილობა. "ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ, იმედი გვაქვს, რომ ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემა მოგვარდება. ამასთან, ვიტყვი იმასაც, რომ ბევრს აქვს თეატრის მხარდაჭერის სურვილი, რასაც საგადასახადო პოლიტიკამაც უნდა შეუწყოს ხელი... ამ მიმართულებით კანონში ცვლილებების შეტანა აუცილებელია", - აღნიშნა თენგიზ ხუხიამ.

იმედი გვაქვს, რომ ფოთის თეატრის ახალი შენობის მშენებლობა 2010 წლისთვის დასრულდება და 450-კაციან დარბაზში მოხვედრილ მაყურებელს საშუალება მიეცემა აქცენტი სპექტაკლის მხოლოს მხატვრულ ხარისხზე გააკეთოს და არა თვალშისაცემ პრობლემებზე.

დევნილობაში საკუთარ ქვეყანაში - ცხოვრება ომის შემდეგ

თამარ ივანიძე

ცხოვრება (დევნილობაში) ომის შემდეგ - ყუთები ასეთი წარწერით საქართველოს 6 სკოლაში ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან გამოჩნდა. ამ ყუთებში ერთი თვის განმავლობაში მოზარდებს, რომელთაც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საკუთრი სახლების დატოვება მოუხდათ, ომისა და ომის შემდგომ ცხოვრებაზე შექმნილი თემებისა და ნახატების ჩაყრა შეუძლიათ.

კონკურსი იძულებით გადაადგილებული მოზარდებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციამ "მედიის განვითარების ფონდი" გამოაცხადა. კონკურსი გამოცხადებულია აშშ-ს საელჩოს 2009 წლის მცირე გრანტების ფარგლებში დაფინანსებული პროექტის "კონკურსი ახალგაზრდებისთვის - დევნილი მოზარდების ინტეგრაციისთვის" ფარგლებში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულ 10-დან 17 წლამდე ასაკის იძულებით გადაადგილებულ მოზარდებს. კონკურსანტების ნამუშევრები უნდა ასახავდეს ომის მოვლენებთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებს და მომავლის მათეულ ხედვას. ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს ესსეს ან ნახატის სახით, 2009 წლის 14 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე. პროექტის პარტნიორია განათლების სამინისტრო. პარტნიორობა სკოლებში ყუთების განთავსებით არ შემოიფარგლება. მოზარდებს ნამუშევრების წარდგენა სკოლების გარდა რეგიონალურ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებშიც შეუძლიათ. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ამით ყველა მსურველს მიეცემა საშუალება კონკურსში უპრობლემოდ ჩაერთოს.

"გასული წლის აგვისტო საქართველოსთვის ახალი ათვლის წერტილია. ცხოვრება ომის შემდეგ უკვე აღარავისთვისაა ომამდელის მსგავსი. თუმცა კიდევ უფრო მტკივნეული და განსაკუთრებულია მათთვის, ვისაც აგვისტოში საკუთარი სახლების დატოვება მოუხდა. ჩვენი პროექტის მიზანი იყო სწორედ ამ ადამიანების აზრის გაგება. ამასთან - სამიზნე ჯგუფებად შევარჩიეთ ახალგაზრდები, ისინი, ვინც ყოველთვის მეტად არიან ორიენტირებულნი მომავალზე. გვინდა გავიგოთ, როგორ აღიქვეს მათ ომი, რას ელიან მომავლისგან, რისი მიღწევა სურთ, რაზე ოცნებობენ". - განუცხადა "24 საათს" პროექტის კორდინატორმა მარიამ გორეცკაიამ.

კონკურსში 20 გამარჯვებულს 5 კაციანი ჟიური შეარჩევს. 10 საუკეთესო ესსეს ავტორს ჩაუტარდება მასტერკლასები წერის ხელოვნებაში; ხოლო 10 საუკეთესო ნახატის ავტორს - ხატვაში. დემოკრატიის ტურის ფარგლებში, 20 გამარჯვებული ბავშვი ეწვევა საქართველოს პარლამენტს, უზენაეს სასამართლოსა და ნახავს ტელემაუწყებლობას მოქმედებაში.

ორგანიზატორთა აზრით პროექტის განსაკუთრებით საინტერესო ნაწილია დასკვნითი ნაწილი, როცა გამარჯვებულთა ნამუშევრები წიგნის სახით გამოიცემა და საკუთარ სახელმწიფოში დევნილობაში მყოფი ახალგაზრდების ნაფიქრალს საზოგადოებას გააცნობს. პროექტის დასკვნითი ეტაპი არატრადიციულია - წიგნების ძირითადი ტირაჟი უფასოდ არ დარიგდება - გამოცემა გაიყიდება და რეალიზაციიდან შემოსული თანხები მოხმარდება შერჩეულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ადგილის მწვანე ნარგავებით მომარაგებას. იმ დასახლებას, რომლისთვისაც ნარგავები იქნება შესყიდული, ფონდი გამარჯვებულ კონკურსანტებთან ერთად შეარჩევს.

ალტაირის, კრატოსისა და სხვათა შესახებ

სათამაშო ბიზნესის სიახლეები - Tokyo Game Show

ია ვეკუა

24-დან 27 სექტემბრის ჩათვლით ტოკიო მსოფლიოს ყველაზე ციფრული, ფანტასტიკური და ნოვატორული ქალაქი იქნება (თუმცა ის ხომ ისედაც ასეთია) - აქ სტარტს აიღებს სათამაშო ინდუსტრიის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მასშტაბური Tokyo Game Show, რომელზეც ამ ინდუსტრიის ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი კომპანიები უახლეს თამაშებსა და სხვა პროდუქციას წარმოადგენენ. ამჯერად სამი გიგანტი კომპანიის სტენდებს გაგაცნობთ, რომელთა მომზადება უკვე მიმდინარეობს და გეიმერებისთვის საინტერესო ინფორმაციას წარმოადგენს.

Microsoft-ს უკვე მზად აქვს დაახლოებით 30 პროექტისგან შემდგარი სია, რომლებსაც 2009-2010 წლების სეზონის განმავლობაში კონსოლ Xbox 360-ზე გამოუშვებს. ზოგი მათგანის მხოლოდ ვიდეოჩანაწერი იქნება წარმოდგენილი, ხოლო უმეტესობის დემო ვერსიების დაგემოვნების საშუალება გამოფენის სტუმარ გეიმერებს თავისუფლად შეეძლებათ.

უკვე ცნობილია, რომ ყველაზე დიდ დაინტერესებას RPG End of Eternity (ევროპასა და ამერიკაში ეს თამაში Resonance of Fate-ს სახელით გამოვა) იწვევს. ასევე ყურადღების ცენტრში მოექცევა ექშენი Bayonetta, სარბოლო სიმულატორი Forza Motorsport 3, დიდებული შუტერი Halo 3: ODST და შარშანდელი გრაფიკული შედევრი Assassin's Creed-ის გაგრძელება. ამ უკანასკნელის პირველმა ნაწილმა მოთამაშეები გამოსვლისთანავე ორ ბანაკად გაყო. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ თამაში გენიალურია, ხოლო საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად მხოლოდ და მხოლოდ ბრწყინვალე გრაფიკულ მონაცემებს და მეტ-ნაკლებად საინტერესო სთორის იშველიებდნენ. თამაშის მოწინააღმდეგეებს კი გაცილებით ჩამოყალიბებული მოსაზრება ჰქონდათ: სამწუხაროდ, თამაში, რომლის გრაფიკული სრულყოფისთვის საუკეთესო სპეციალისტების შრომა და მილიონობით ბიუჯეტი დაიხარჯა, ძალიან მოსაწყენი და ერთფეროვანი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟ ალტაირს მოძრაობის პრაქტიკულად შეუზღუდავი არეალი და შესაძლებლობები აქვს, ყველა მისია ერთსა და იმავე გადაწყვეტას ითხოვს. გარდა ამისა, პერსონაჟის მართვისთვის მოთამაშეს დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა, რადგან თამაშის შემქმნელებმა მის ხელოვნურ ინტელექტზე ზედმეტად კარგად იშრომეს. მაგალითად, იმისთვის, რომ ალტაირი სათვალთვალო პუნქტის მაღალ წერტილამდე აძვრეს, მხოლოდ მიმართულების მიცემაა საჭირო - დანარჩენს იგი თავად აკეთებს, ეს კი ნამდვილ გეიმერებს ნაკლებად მოსწონთ. სწორედ ამ ნაკლოვანებების გათვალისწინებით ყველა იმედოვნებს, რომ Assassin's Creed-ის მეორე ნაწილი მხოლოდ გრაფიკული სრულყოფილება არ იქნება.

Microsoft-ის მიერ Tokyo Game Show-ზე წარმოსადგენი სიახლეების ჩამონათვალი ასეთია: Samurai Spirits Sen, FIFA 10, Lost Planet 2, Dynasty Warriors: Strikeforce Special, Bayonetta, Dragon Ball: Raging Blast, Tekken 6, Assassin's Creed II, Shadow Complex, Tom Clancy's Splinter Cell: Conviction, Castlevania: Lords of Shadow, Call of Duty: Modern Warfare 2 და Halo Legends.

ზემოთ ხსენებული კომპანიის მთავარი კონკურენტი სათამაშო ბიზნესში Sony Computer Entertainment ცხადია არანაკლებ შრომას ჩადებს, რომ გამოფენაზე რაც შეიძლება ღირსეულად წარსდგეს. "სონიმ" "მაიკროსოფტს" რაოდენობითაც გადააჭარბა და PlayStation 3-ის, PSP-სა და PlayStation Network-ის 46 ახალი პროექტი დააანონსა. მათ შორის იქნება Fat Princess და inFamous, რომლებიც ამერიკასა და ევროპაში უკვე გამოვიდა.

კონსოლ PlayStation 3-ის თაყვანისმცემლებს წინ შემდეგი თამაშების გაცნობა ელით: Final Fantasy XIII, Front Mission Evolved, Gran Turismo 5, inFamous, Heavy Rain, Ratchet & Clank: A Crack in Time, Ninja Gaiden Sigma 2, Dragon Ball: Raging Blast, Uncharted 2: Among Thieves და God of War III.

როგორც პრესა იუწყება, განსაკუთრებულ დაინტერესებას სწორედ ეს ორი უკანასკნელი, "სონის" ექსკლუზიური თამაში გამოიწვევს. Uncharted 2: Among Thieves-ის პირველი ნაწილი Uncharted: Drake's Fortune 2007 წელს გამოვიდა და მაშინვე ჰიტად იქცა. ეს არის სათავგადასავლო ჟანრის თამაში, რომელიც ხასიათით და სტურქტურით ლეგენდარულ "ტომბ რაიდერს" მოგაგონებთ, თუმცა იმ განსხვავებით, რომ აქ გაცილებით მეტი ექშენი, იუმორი და ნამდვილი თავგადასავალია. თუ ახალი ნაწილის შემქმნელები ძველ ხასიათს შეინარჩუნებენ, მაშინ თამაშს წარმატება გარანტირებული ექნება. რაც შეეხება მის გრაფიკულ მონაცემებს, ინტერნეტში უკვე შეიძლება რამდენიმე ნაწყვეტის ნახვა, რომლებიც საკმაოდ შთამბეჭდავია. რაც შეეხება God of War III-ს, აქ ეჭვის საფუძველი პრაქტიკულად არ არსებობს. ძლევამოსილი კრატოსის შესახებ გაკეთებული თამაშის ორივე წინა ნაწილი შედევრია და მის დეველოპერებს მცირედი ხინჯიც არ ეპატიებათ.

გამოფენაზე არანაკლებ არსენალს წარმოადგენს კომპანია Capcom-იც. დაანონსდება Dead Rising 2, Lost Planet 2 და Tatsunoko vs Capcom. აქვე ისაუბრებენ 2006 წელს გამოსული ალბათ ყველაზე იაპონური და შესაბამისად ყველაზე უცნაური Okami-ს შესახებაც. პროექტმა უკვე მიიღო სამუშაო სახელწოდება Okamiden და როგორც ამბობენ, მასზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ "ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტები მშენებლობის დაწყების მსურველთათვის" საკონკურსო პირობებში, თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის 17.09.09 წლის N2833 ბრძანებით შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. საკონკურსო განაცხადების წარდგენა შესაძლებელი იქნება როგორც ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის კანცელარიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ასევე ელექტრონული ფორმით ვებგვერდზე - www.Tbilisi.gov.ge/architect, დამტკიცებული განაცხადის ფორმის შესაბამისად. ცვლილებამდე განაცხადების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ზემოთმითითებულ ვებგვერდზე.

2. კონკურსანტმა გარდა უკვე გამოქვეყნებული საკონკურსო პირობებისა, პროექტს თან უნდა დაურთოს სამშენებლო მასალების ნუსხა და მშენებლობის სავარაუდო ღირებულება. სასურველია სამშენებლო მასალების ცვლილების ხარჯზე, წარმოდგენილ იქნას ხარჯთაღრიცხვის რამდენიმე ვარიანტი.

3. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი (და არა კონკურსანტი) ვალდებულია შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებამდე თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, წარმოადგინოს გამარჯვებული პროექტის კონსტრუქციული ნახაზები "0" ნიშნულის ზევით. (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7).

4. კონკურსანტს უფლება აქვს განაცხადის ფორმაში მიუთითოს თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შეასრულებს პროექტის კონკრეტულ რელიეფზე მორგების საპროექტო დოკუმენტაციას, რასაც სამსახური გამოაქვეყნებს ვებ.გვერდზე www.Tbilisi.gov.ge/architect.

5. კონკურსში გამარჯვებული პროექტები გამოქვეყნდება ვებგვერდზე www.Tbilisi.gov.ge/architect. იქვე, პროექტების მიხედვით, მითითებული იქნება გამარჯვებული არქიტექტორის რეკვიზიტები.

6. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა გაგრძელებულ იქნა 2009 წლის 17 ნოემბრამდე.

მსჯელობა ევროპის მომავალზე

დიმიტრი ავალიანი

9-12 სექტემბერს პოლონეთის საკურორტო ქალაქ კრინიცაში მეცხრამეტე ეკონომიკური ფორუმი ჩატარდა. ტრადიციულ ღონისძიებას ასეულობით სტუმარი დაესწრო - ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის წარმოადგენლები. წლევანდელი ფორუმი სოციალისტური ბანაკის დაშლის და აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლების 20 წლისთავს მიეძღვნა. საქართველოს საკითხი ფორუმზე ამჯერადაც აქტუალური იყო - როგორც ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ევროკავშირ-რუსეთის და აშშ-რუსეთის ურთიერთობებში. საქართველო ევროკავშირის მომავალი გაფართოების მიმართულებებს შორისაც განიხილება.

ღია კარი "ახალი ევროპელებისთვის"?

"ევროპული სოლიდარობა რევოლუციიდან 20 წლის შემდეგ" - ამ დევიზით ჩატარებულ ფორუმზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ევროპაში სოლიდარობის საკითხი დღის წესრიგში საკმაოდ მწვავედ დგას.

როგორც ფორუმის გახსნისას პოლონეთის "აღმოსავლეთის ინსტიტუტის" დირექტორმა ზიგმუნდ ბერდიხოვსკიმ აღნიშნა, ევროპის წინაშე ამჟამად საკმაოდ მწვავედ დგას კითხვები - რამდენად მზად არიან ევროკავშირის წევრები ერთმანეთის დასახმარებლად კრიზისის პირობებში? ასევე, რამდენად მზად არის თავად ევროკავშირი იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

ის, რომ ევროკავშირის სამომავლო გაფართოება კვლავაც აქტუალური თემა და მწვავე დებატების საგანია, ფორუმის გახსნისას ესპანეთის ყოფილმა პრემიერმა ხოსე მარია აზნარმა აღნიშნა. თუმცა, მისი თქმით, **"ევროპა უსაზღვრო პროექტი არ არის." "მაგრამ, ევროპის საზღვრები მაინცდამაინც უკრაინასა და საქართველოზე არ გადის. ისინი უფრო ფასეულობებზე გადის,"** - განაცხადა აზნარმა.

"ჩვენი მეგობრები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მეზობლები მისივე თანამგზავრები უნდა იყვნენ," - აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა. თუმცა, მისი თქმით, თავად არც ამ მიდგომას ეთანხმება და არც **"რუსეთის საბჭოურ პოლიტიკას"**.

როგორც, თავის მხრივ, ევროპარლამენტის თავმჯდომარემ ეჟი ბუზეკმა აღნიშნა, ევროკავშირის გაფართოებაზე **"პესიმიზმის მიზეზები არსებობს."** ევროკავშირი ძალიან გაფართოვდა და მისი წევრი ქვეყნები ერთმანეთთან არასაკმარისად არიან ინტეგრირებულნი, - აღნიშნა ბუზეკმა. მისი აზრით, ინტეგრაცია, პირველ რიგში, ევროკავშირს შიგნით უნდა გაგრძელდეს. თუმცა, იმავდროულად, როგორც ევროპარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, თუ ევროკავშირი თავის რიგებში ახალ წევრებს მიიღებს, ეს ქვეყნები **"თავიანთ შიგნით ბევრი რამის შეცვლას შეძლებენ."**

საქართველოს, უკრაინისა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანება მთავარი თემა გახდა ფორუმის ფარგლებში გამართულ დისკუსიაზე, რომელიც მიეძღვნა ევროკავშირის პოლიტიკას მეზობლების მიმართ.

როგორც დისკუსიაზე გერმანიის წარმომადგენელმა, ელჩმა დიტმარ შტუდემანმა აღნიშნა, დღეს ევროპის წინაშე რთული კითხვა დგას - მიაღწია თუ არა ევროკავშირმა ბუნებრივ საზღვრებს და არსებობს თუ არა მისი გაფართოების პერსპექტივა?

შტუდემანის თქმით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ ვერ შეძლო იმ ქვეყნების დაკმაყოფილება, რომლებიც ევროკავშირის წევრობისკენ მიისწრაფვიან. **"ისინი აღმოჩნდნენ სხვა სიტუაციაში ისეთ ქვეყნებთან ერთად, რომლებსაც სხვა მიზნები ჰქონდათ,"** - აღნიშნა შტუდემანმა.

რაც შეეხება აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამას, გერმანიის წარმომადგენლის აზრით, ეს პროგრამა ევროკავშირის მომავალს განსაზღვრავს. **"მთავარია, ვართ თუ არა გახსნილნი** (ახალი წევრების მისაღებად) **და გულწრფელნი. დღესდღეობით, როგორც ჩანს, გახსნილები ვართ, მაგრამ ზღვარი, რაც მეზობლებს დავუწესეთ, ძალზე მაღალია,"** - აღნიშნა შტუდემანმა.

მისი თქმით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა რუსეთს უშუალოდ უკავშირდება: **"ადრე რუსეთი ღია იყო ინტეგრაციისთვის, დაინტერესებული იყო თავის საზღვრებზე სტაბილურობით. მაგრამ, გაზის ომმა და საქართველოს კრიზისმა მეზობლებთან ურთიერთობაში წინსვლა ევროკავშირისთვის აუცილებელი გახადა."**

რუსეთის პოლიტიკა ავსტრიელმა ექსპერტმა ერჰარდ ბუსეკმაც გააკრიტიკა: **"რუსეთის მტრები არ ვართ, მაგრამ უნდა ითქვას, რისი მიცემა შეუძლია რუსეთს ევროპისთვის? რუსეთის ყოფნა ევროპაში - ეს მხოლოდ ლიტერატურა და უაზრო ლაყბობაა, მაგრამ რუსებს მაინც უნდა ველაპარაკოთ."**

ბუსეკის თქმით, რუსეთში მას ღიად ეუბნებოდნენ, რომ მოსკოვში შეცდომად მიიჩნევენ ევროკავშირისა და ნატო-ს რიგებში ბალტიის ქვეყნების მიღებას და იმასაც აცხადებდნენ, რომ ევროკავშირის ახალი წევრები მაინც რუსეთის "გავლენის სფეროში" უნდა ყოფილიყვნენ. **"მათ უნდა გაიგონ, რომ იალტის გარიგება ძალაში აღარ არის,"** - განაცხადა ბუსეკმა.

კრიტიკული მოსაზრებები ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამის შესახებ უკრაინელმა პოლიტოლოგმა ალექსანდრ პროხოროვმა გამოთქვა. მისი აზრით, აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამა შეიქმნა მასში ჩართული ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების გასაჭიანურებლად **"იმ დრომდე, როდესაც მოქმედი ევროპელი პოლიტიკოსები ხელისუფლებაში აღარ იქნებიან."**

"აღმოსავლური პარტნიორობა, თუ ის არ მოიცავს გაწევრიანების კონკრეტულ პერსპექტივას, მხოლოდ ზღურბლის აწევას წარმოადგენს," - მიიჩნევს ექსპერტი.

პროხოროვის თქმით, ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა თავის დროზე სტიმული გახდა აღმოსავლეთ ევროპისთვის, **"ჩვენს სამოქალაქო საზოგადოებას კი ვეუბნებით, რომ პერსპექტივა არ გვაქვს."**

მან ყურადღება გაამახვილა იმ საფრთხეებზე, რაც რუსეთისგან უკრაინას ემუქრება. გარდა ენერგეტიკული შანტაჟისა, რუსეთის ხელისუფლება უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აწარმოებს, რათა ეს ქვეყანა რუსეთის მთავარ მტრად წარმოაჩინოს.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა მარკ პრიჩარდმაც რუსეთის პოლიტიკაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რუსეთმა დასავლეთს **"სიგნალი უნდა მისცეს"** თავისი დამოკიდებულების შესახებ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ასევე ნატო-სა და ევროკავშირში წევრობის სურვილი სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებად აღიაროს.

თავის მხრივ, ესპანეთის პარლამენტის წევრმა ალექს საიეზმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ევროკავშირში ბალკანეთის სახელმწიფოები უნდა გაწევრიანდნენ, რასაც აღმოსავლეთის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება უნდა მოჰყვეს. ასეთი თანამშრომლობის გააქტიურების მაგალითად მან დაასახელა მოლაპარაკებები საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

"აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს სჭირდებათ მკაფიო სიგნალი, რომ მათ ევროკავშირში მიიღებენ. აღმოსავლური პარტნიორობა და სამეზობლო პოლიტიკა ამ საკითხს გვერდს უვლის, მაგრამ კარი ღია უნდა იყოს. ამ პროგრამების ფარგლებში ეს შესაძლებელია," - განაცხადა, თავის მხრივ, დიტმარ შტუდემანმა. მისი თქმით, ეს განსაკუთრებით **"რუსეთის გარშემო მყოფ ქვეყნებს"** უნდა შეეხოთ.

გადაჭარბებული ევროპული ოპტიმიზმი

დამთმობი თუ შემტევი - როგორი გახდება რუსული საგარეო პოლიტიკა ფინანსური კრიზისის შედეგად? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემას სპეციალურ დისკუსიაზე ევროპელი პოლიტიკოსები და ექსპერტები შეეცადნენ.

უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი დისკუსიის ერთადერთი მონაწილე გახდა, რომელიც რუსული პოლიტიკის მწვავე კრიტიკით გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ რუსეთი

მეზობელ ქვეყნებზე ზეწოლისთვის ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ბერკეტებს იყენებს, ასევე აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ. **"ეს იყო რუსეთის ახალი სახის ტიპური დემონსტრირება,"** - აღნიშნა ტარასიუკმა.

მისი აზრით, ევროკავშირის "აქილევსის ქუსლი" საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უქონლობაა. ტარასიუკის განცხადებით, **"ცუდი არ იქნება, თუ ევროკავშირი და რუსეთი ურთიერთობებს მოაგვარებენ, მაგრამ ეს ფასეულობებისა და პრინციპების ხარჯზე არ უნდა მოხდეს."**

თავის მხრივ, პოლონეთის სეიმის წევრი იოლანტა შიმანეკ-დერეში დარწმუნებულოია, რომ რუსეთის პოლიტიკა უფრო ცივილიზებული გახდება.

"რუსეთი გლობალურ ეკონომიკასა და პოლიტიკაში მონაწილეობას ირჩევს. ამისთვის სტიმული ბარაკობამას მიერ გამოცხადებული "გადატვირთვა" გახდება," - აღნიშნა დეპუტატმა.

იგი შეეხო მედვედევის წინადადებას ევროპაში უსაფრთხოების ახალი სტრუქტურის შესახებ. შიმანეკ-დერეშის აზრით, ეს წინადადება იმის ნიშანია, რომ რუსეთს ევროპაში უსაფრთხო გარემოს დამყარება რეალურად სურს და **"რუსეთს ესმის, რომ ზესახელმწიფო აღარ არის."** პოლონელი დეპუტატი ასევე დარწმუნებულია, რომ მას შემდეგ, რაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ ნიკარაგუამ აღიარა, რუსეთი **"მიხვდა"**, რომ ამ მხრივ მისი პოლიტიკა მცდარია.

რუსეთს რეცესია შეეხო, ხოლო ქვეყნის საზოგადოება ცხოვრების დონის ზრდას ელის. შესაბამისად, მისი აზრით, რუსეთს მეზობლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება მოუწევს.

როგორც, თავის მხრივ, ფინეთის პარლამენტის წევრმა კიმო კილიუნენმა აღნიშნა, ამჟამად **"მრავალპოლარული სამყარო იქმნება, აშშ-ს ფუნქციები კნინდება, რუსეთის ძალა კი იზრდება." "ფინელებმა ისტორიიდან დასკვნები გამოვიტანეთ - დიდი ქვეყნები დიდ ქვეყნებად რჩებიან. სჯობს კარგი მეზობელი გვყავდეს, ვიდრე მტერი,"** - აღნიშნა კილიუნენმა.

მისი აზრით, **"ჩრდილოეთის ნაკადის"** პროექტი, რომელსაც რუსეთი და გერმანია ახორციელებენ, ევროპის უსაფრთხოებაზე დადებითად აისახება, რადგან მან **"ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის ინტეგრაციას ევროპის ეკონომიკაში."** ფინელი დეპუტატი მოწონებით შეხვდა ევროპაში უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შესახებ რუსეთის ინიციატივასაც, რადგან, მისი აზრით, **"ეუთო უკვე მოძველდა."**

თუ რამდენად "მზად" არის რუსეთი საგარეო პოლიტიკის შესაცვლელად, ამის განმარტება დისკუსიის რუსმა მონაწილეებმა გააკეტეს. **"რუსეთი დიდი ქვეყანაა და მისი ინტერესები მის საზღვრებს სცდება. რუსეთს, ბუნებრივია, სურს, პატივს სცემდნენ. რუსეთს მსოფლიოში იმ ადგილის დაკავება სურს, რა წვლილიც აქვს შეტანილი მსოფლიო კულტურაში,"** - განაცხადა ოპოზიციური პარტია "პრავოე დელოს" წარმომადგენელმა დენის შილნიკოვმა.

იგი ასევე დარწმუნებულია, რომ რუსეთში კრიზისის გადატანა **"ევროპის ქვეყნებზე უარესად"** არ მოხდება, სხვაგვარი მოსაზრებები კი **"მხოლოდ ილუზიაა."**

"რუსეთის ხელისუფლება არ არის იდეალური, მაგრამ იდეალურია ყველა ევროპული ქვეყანა?" - გამოექომაგა პუტინის რეჟიმს "ოპოზიციონერი" და ისიც აღნიშნა, რომ როგორც ოპოზიციური პარტიის წევრი, არ ემხრობა რუსეთის ხელისუფლების იზოლაციას, ვინაიდან ამით **"გაძლიერდებიან ჯგუფები, რომლებსაც ქვეყნის თვითიზოლაცია სურთ."**

თავის მხრივ, რუსმა ექსპერტმა ანა ლუნევამ აღნიშნა, რომ ევროპასა და რუსეთს შორის ურთიერთობის დაძაბვა **"მხოლოდ რუსეთის ბრალი არ არის." "რუსეთისგან სულ რაღაცას ელიან. მხოლოდ მან უნდა გადადგას ნაბიჯები და ევროკავშირმა არა?"** - იკითხა ლუნევამ და ისიც გაიხსენა, რომ რუსეთს დღესაც კარგი ურთიერთობა აქვს გერმანიასთან, საფრანგეთთან და იტალიასთან. მისი თქმით, თუ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ვერ დარეგულირდება, მოსკოვს ყოველთვის შეეძლება ცალკეულ ევროპულ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარება.

ამერიკის საგარეო პოლიტიკა - მოლოდინები ევროპაში

ობამას ადმინისტრაცია ხედავს საკუთარი "რბილი ძალის" შესუსტებას მსოფლიოში, რაც იმის ბრალია, რომ ბუშის ადმინისტრაცია თავისი პოლიტიკის არასაკმარის კოორდინირებას ახდენდა მოკავშირეებთან, - ამის შესახებ ამერიკელმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა რობერტ ნურიკიმ განაცხადა დისკუსიაზე, რომელიც აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას მიეძღვნა.

მისი თქმით, ობამას პოლიტიკა დღეს კონცენტრირებულია ირანზე, ერაყსა და ავღანეთზე და ნაკლებად - ევროპაზე.

რუსეთთან ურთიერთობის "გადატვირთვის" პოლიტიკაში გასაკვირი არაფერია, - აღნიშნა ნურიკიმ. ეს ურთიერთობა წლების განმავლობაში უარესდებოდა, რუსეთ-საქართველოს ომი კი გადამწყვეტი მომენტი, გაუარესების "პიკი" გახდა. შესაბამისად, ნურიკის აზრით, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობის სასწრაფოდ გადასიჯვის აუცილებლობა გაჩნდა.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ მოსკოვთან ურთიერთობაში ყველაზე პრობლემური საკითხი მეზობლებთან რუსეთის ურთიერთობის თემაა. **"ილუზიები არ უნდა გვქონდეს. ჩვენს ვალდებულებებს ვერ უარვყოფთ, მაგრამ საქართველოსა და უკარინის ნატოში წევრობა გარკვეული ხნით გადაიდო,"** - აღნიშნა ნურიკიმ.

რაც შეეხება რუსეთის წინადადებებს უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შესახებ, ნურიკის შეფასებით, რუსებს სურთ გავლენის სფეროს დამტკიცება და ზესახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა ისე, რომ, **"პატარა ქვეყნები ფეხებში არ ებლანდებოდნენ." "ამაზე უნდა ვიმსჯელოთ ჯერ ჩვენს წრეში, შემდეგ რუსეთთან. მაგრამ, ევროპის პოლიტიკა ჩამოყალიბებული არ არის,"** - აღნიშნა ექსპერტმა.

აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკის გამო შეშფოთება აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლებმა გამოხოვანეს.

რუმინეთის პრეზიდენტის მრჩევლის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში იულიან ფოტას თქმით, **"გაჩნდა მოსაზრება, რომ ამერიკამ ევროპა მიატოვა. ამიტომაც ევროპის ზოგიერთი ქვეყანა რუსეთთან ამყარებს მჭიდრო ურთიერთობას. მათ ეშინიათ, რომ აშშ და ჩინეთი ახალ საერთაშორისო სტრუქტურებს შექმნიან, ევროპა კი განზე დარჩება."**

"გვესმის, რატომ არის საჭირო "გადატვირთვა". მაგრამ, რუსები საეთოდ არ არიან დაინტერესებულნი პარტნიორობით. მათ სურთ გარიგება, ბიზნესი აშშ-სთან," - აღნიშნა ფოტამ. მისი თქმით, დღეს აღმოსავლეთ ევროპას სურს, გაიგოს, აშშ და ნატო-ს წევრი სხვა ქვეყნები კვლავაც რჩებიან თუ არა ერთგულნი ნატო-ს ხელშეკრულების მე-5 მუხლისა, რომელიც აგრესიისგან ერთობლივ თავდაცვას ითვალისწინებს.

მე-5 მუხლის მოქმედების მნიშვნელობაზე ევროპარლამენტის პოლონელმა წევრმა პაველ ზალევსკიმაც ისაუბრა. მის თქმით, **"რუსეთი თავისი საგარეო პოლიტიკის ლეგიტიმაციას ცდილობს. ამ პოლიტიკაში აშშ პარტნიორად არ მოიაზრება. ჩვენ გვაინტერესებს, რამდენად იზიარებს აშშ-ს ადმინისტრაცია ჩვენს შეშფოთებას."**

როგორ, თავის მხრივ, პოლონელმა ექსპერტმა იანუშ რეიტერმა განმარტა, აშშ-ს ადმინისტრაციაში მოვიდა ახალ თაობა, რომელიც **"ცივი ომის ლოგიკით არ აზროვნებს."** ექსპერტის თქმით, წინა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს კაბინეტებში ვაცლავ ჰაველისა და ლეხ ვალენსას სურათები ეკიდათ, რასაც ახლანდელი ხელმძღვანელების კაბინეტებში ვეღარ ნახავთ. **"ახალი წესრიგი ყალიბდება. რუსეთი კვლავ იწყებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას. მაგრამ, რუსები ევროპელების წესებს არ მიიღებენ. მათ თავიანთი წესების შემოღება სურთ და ევროპის დაყოფით არიან დაინტერესებულნი. ჩვენ გვჭირდება აშშ-ს მონაწილეობა რუსეთთან საუბარში,"** - აღნიშნა რეიტერმა.

როგორც, თავის მხრივ, რობერტ ნურიკიმ აღნიშნა, მას ესმის, თუ **"რატომ მიიჩნევენ ევროპაში, რომ აშშ გულუბრყვილოდ იქცევა."** მისი თქმით, აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესება **"ძალიან რთულია." "გვაქვს იმედი, რომ გარკვეული მიმართულებებით ვითანამშრომლებთ. მაგრამ, დიდი ოპტიმიზმი არ გვაქვს. პრობლემა არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროპის პოლიტიკაა,"** - განაცხადა ექსპერტმა.

გაზეთი "24 საათი" კრინიცას მე-19 ეკონომიკური ფორუმის ოფიციალური მედიაპარტნიორია. ინფორმაცია ფორუმის შესახებ იხილეთ ვებგვერდზე www.forum-ekonomiczne.pl

სპორტი

"დინამომ" აიწყვიტა

ლოგიკური ტური ფორსმაჟორის თანხლებით

მიხეილ აბაიშვილი

"ოლიმპი" და "ვიტ ჯორჯია" ერთმანეთს მშვიდობიანად გაეყარნენ.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-7 ტურმა ფორსმაჟორულ ვითარებაში ჩაიარა. მოგეხსენებათ, სამიოდ დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აწ უკვე ექსპრეზიდენტმა, ნოდარ ახალკაცმა პოსტიდან გადადგომის თაობაზე გააკეთა განცხადება და ამის შემდგომ, ქვეყანა დატოვა. ქართული ფეხბურთი, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში, არც თუ მთლად ლეგიტიმურ სივრცეში იმყოფებოდა, მორიგ კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდა. თუმცა კი, ეს ფორსმაჟორი არანაირად, ეპიზოდურადაც კი არ ასახულა ქართული კლუბების ძალთა ბალანსზე: მე-7 ტურში პრაქტიკულად ყველა შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა.

ტურის ცენტრალური მატჩი, რომელშიც ლიდერმა, რუსთავის "ოლიმპმა" მოქმედ ჩემპიონს, თბილისის "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა, არა რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე, არამედ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ არენაზე გაიმართა. საქმე ის არის, რომ რუსთავის სტადიონი ამჟამად რეკონსტრუქციას განიცდის - მიმდინარეობს ხელოვნური განათების დამონტაჟება და ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგება, რაც უეფას გრანტის მიღების შედეგად გახდა შესაძლებელი. ეს სამუშაოები დაახლოებით 2 თვეს გასტანს და ამ პერიოდში "ოლიმპი" საშინაო თამაშებს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ჩაატარებს.

ამ თამაშამდე გუნდები სხვადასხვა ბაგაჟით მივიდნენ. მესამე ტურის შემდეგ "ვიტ ჯორჯიამ" მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა: შემტევი თამაშის მოყვარული რამაზ მუმლაძე ამ პოსტზე დაცვითი სტილის მიმდევრად შერაცხულმა მერაბ კოჭლაშვილმა ჩაანაცვლა. ეს ტრანსფორმაცია არა მხოლოდ გუნდის თამაშზე, არამედ შედეგებზეც აისახა. თუ პირველ სამ თამაშში "ვიტ ჯორჯიამ" უჩვეულოდ ბევრი - 6 გოლი გაუშვა, მომდევნო სამ ტურში გაშვებული გოლების რიცხვი ერთამდე შემცირდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კოჭლაშვილის ხელმძღვანელობით "ვიტ ჯორჯია" ზედიზედ ოთხ ლიდერს შეხვდა ("დინამოს", "სპარტაკს", "ზესტაფონს" და "ოლიმპს") და არცერთ ამ მატჩში მარცხი არ განუცდია.

საპირისპირო ბაგაჟით მოვიდა "ოლიმპი" 19 სექტემბრამდე: ბრაზილიელი ფეხბურთელებით გაძლიერებულმა ამ გუნდმა ფანტასტიური სტარტი გამოაცხო: ხუთიდან ხუთ თამაშში გაიმარჯვა და აბსოლუტური, 15-ქულიანი შედეგით ლიდერობდა ჩემპიონატს, მაგრამ ფეირიულმა თამაშმა და მეტოქეებზე თავს დატეხილმა გოლების წვიმამ ძალზე უარყოფითი სამსახური პირველ რიგში სწორედ "ოლიმპს" გაუწია. მეექვსე ტურის შეხვედრაში ოთარ კორღალიძის შეგირდებს აშკარად აკლდათ მობილიზაციაკონცენტრაცია, რასაც ამ კონკრეტულ ვითარებაში არც თუ ეფექტური ტაქტიკური განლაგებაც დაერთო და სრული ლოკალური კატასტროფით დასრულდა: "დინამომ" "ოლიმპს" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა და ციდან მიწაზე დაშვებაში დაეხმარა. სწორედ ამ გარემოების გამო რუსთავული კლუბი აბსოლუტურად განსხვავებული განწყობით, მობილიზაციით, კონცენტრაციით და გნებავთ, ტაქტიკური განლაგებით დაუხვდა "ვიტ ჯორჯიას".

ერთი შეხედვით, თამაშმა არ გაამართლა - ვგულისხმობ, სანახაობრივ მხარეს. თუმცა, არც არავინ მოელოდა, რომ ეს შეხვედრა გახსნილი, ორმხრივი იერიშებით აღსავსე და უხვგოლიანი აღმოჩნდებოდა. მოედანზე დაძაბული, ხისტი და ორივე მხრიდან უხეშობის ზღვარზე მისული ორთაბრძოლა გაჩაღდა. "ვიტ ჯორჯიას" მცველებმა შეძლეს რუსთაველთა მთავარი დამრტყმელი ძალის - აკინო-ანდერსონის ნეიტრალიზება და ამის წარმატებით გასაკეთებლად ბრაზილიელისთვის კოჭებში რამდენიმე ათეული მირტყმა ნამდვილად არ დაუმადლებიათ. "ოლიმპს" წინა ხაზში აშკარად დააკლდა პირადი პრობლემების გამო შვებულებაში მყოფი და სამშობლოში ათდღიანი შვებულებით გამგზავრებული აკინოს თანამემამულე - ჟონათასი. რაც შეეხება კიდევ ერთ ახალწვეულ ბრაზილიელ სალესს, ამ ფეხბურთელმა პირველ ტაიმში თავი ვერაფრით გამოიჩინა და შესვენებაზე შეცვალეს კიდეც. საბოლოოდ, მატჩი, რომელშიც პირობითმა მასპინძლებმა ორი კარგი მომენტი გააცუდეს (ერთხელ ჭედიამ და ერთხელაც - აკინომ), უგოლოდ დასრულდა.

თბილისის "დინამომ" კი აიწყვიტა და ამ გუნდს ვეღარავინ აჩერებს. მეხუთე ტურში დინამოელებმა მტკივნეული მარცხი იწვნიეს ზესტაფონში ანგარიშით 1:4. როგორც ჩანს, ამ დიდი ანგარიშით წაგებამ გუნდზე გამაღიზიანებლად იმოქმედა და ჯერ ლიდერი "ოლიმპის" კარი შემუსრა ოთხჯერ, შემდეგ ზუგდიდში ჩავიდა და ადგილობრივი "ბაია" არ დაინდო: ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა.

გოლების იშტაზე მოვიდა "ზესტაფონიც"" იმერლებმა ცხინვალის "სპარტაკს" უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით, 4:1 დაამარცხეს სადებიუტო ტურების შემდეგ ყველასთვის მოულოდნელად პირველ პოზიციაზე აღმოჩენილ მეტოქეს.

მე-7 ტური

ზესტაფონი - სპარტაკი	4:1
ბაია - დინამო	0:6
ლოკომოტივი - სიონი	0:0
ოლიმპი - ვიტ ჯორჯია	0:0
სამტრედია - გაგრა	4:3

მილანური ომი დაიწყო

იქ, სადაც ჟოზე მოურინიო მუშაობს მედიისთვის სამუშაო საკმაოდ არის. პორტუგალიელი სპეციალისტი ყოველთვის გამოირჩეოდა მკვახე გამონათქვამებით მეტოქეთა წინააღმდეგ. ინგლისში მოურინიომ რიგრიგობით გადაიმტერა ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი, იტალიაში პორტუგალიელი ერთხანს, თითქოს მშვიდად იყო და თავის საქმეს აკეთებდა, თუმცა მოურინიო რის მოურინიო იქნებოდა, რომ ამდენი მოეთმინა. ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ, რომელშიც "ინტერმა" "ბარსელონას" "სან სიროზე" უმასპინძლა, "ნერაძურის" და მის მწვრთნელს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ. მართალია ის მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა, მაგრამ კატალონიელებმა აშკარად დაჩაგრეს მილანელები. მიშელ პლატინიმ ამ თამაშის შესახებ თქვა კიდეც "ინტერმა" საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინა, "ბარსელონამ" ითამაშა ლაღად და ლამაზად. მილანელები შედეგით კმაყოფილნი უნდა იყნენ ასეთი თამაშით ისინი ფრესაც არ იმსახურებდნენ".

დაახლოებით ასეთივე პოზიცია დააფიქსირა იტალიურმა მედიამ. თანაც ყველაფერი იმის ფონზე მოხდა, რომ იმავე ჩემპიონთა ლიგაში მარსელში გასვლითი მატჩი მოიგო "ინტერის" მუდმივმა მეტოქე "მილანმა", მეტიც ლეონარდოს გუნდი ერთადერთია იტალიურ კლუბებს შორის, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში გამარჯვება მოახერხა.

კრიტიკით გაბრაზებულმა მოურინიომ კი ადგა და სწორედ "მილანს" შეუტია. "ჩვენი ჯგუფი ხუმრობა როდია, ჩვენს ჯგუფში "ციურიხი" არ თამაშობს", - თქვა მოურინიომ, "ციურიხი კი ჯგუფში სწორედ "მილანთან" ერთად არის მოხვედრილი.

ცხადია "როსონერის" პასუხმაც არ დაახანა. "არის მარტივი მიზეზი იმისა რატომაც მოხვდა ჩვენს ჯგუფში "ციურიხი", საქმე ისაა, რომ იტალიური გუნდებიდან მხოლოდ ჩვენ ვიყავით განთესილები პირველ კალათაში, ამას კი დამსახურება სჭირდება. თანაც რას ნიშნავს "ციურიხის" ხსენება ეს გუნდი შვეიცარიის ჩემპიონია და მას პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. ისე ეტყობა ზოგიერთს საკმაოდ მოკლე მეხსიერება აქვს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენ ათი ტიტული მოვიგეთ. აი ზოგიერთებმა კი მხოლოდ იტალიის ჩემპიონატი. მშვენივრად მესმის, რომ ზოგიერთი საკუთარი მიღწევებით კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ", - განაცხადა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

სანიკიძის სადებიუტო 4 ქულა

გასულ ზაფხულს საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშე ვიქტორ სანიკიძემ იტალიურ "ვირტუსთან" გააფორმა კონტრაქტი. ვიკამ იტალიური გრანდის მაისურით პირველი მატჩი ჩაატარა და 4 ქულის მოგროვება შეძლო. "რეიერ ვენეციასთან" საკონტროლო შეხვედრაში ბოლონიელებმა პირველი მეოთხედი 14:15 წააგეს, თუმცა, შემდეგ მათი უპირატესობა აშკარა გახდა, რაც ოცქულიანი გამარჯვებაში აისახა - 77:57. 23 წლისა და 203 სმ. სიმაღლის მქონე ქართველმა კალათბურთელმა ეროვნული ნაკრებისა და ექს-კლუბ "ტარტუ როკის" დარად, "ვირტუსშიც" 13-ნომრიანი მაისური მოირგო გუნდს 4 ქულა შეაწია. ვენეციელებთან მატჩში ბოლონიელთა რიგებში 17 ქულით მიკელე მაჯიოლი გამოირჩა, დავიდ ჯერალდ მოსმა 15 ქულა მოაგროვა, დუშან ვუკჩევიჩმა კი - 13. კარგად გაისარჯა ქართველთა ძველი ნაცნობი პეტერი კოპონენიც (9 ქულა), რომელსაც ფინეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი ეროვნული გუნდის წინააღმდეგ არაერთხელ უთამაშია. სანამ სანიკიძე "ვირტუსის" რიგებში სადებიუტო შეხვედრას ჩაატარებდა, კლუბის ბაზაზე ქართველი კალათბურთელის ოფიციალური წარდგენა მოხდა. ჟურნალისტებთან საუბრისას, ვიქტორმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: "ბედნიერი ვარ, რომ აქ მოვხვდი. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როდესაც "ვირტუსის" მიერ იტალიის ჩემპიონატსა და ევროლიგაში წარმატებულ ასპარეზობას თვალს ვადევნებდი. ასეთი დონის გუნდში არასდროს მითამაშია. ბოლონიაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა ზრდა განვაგრძო და სამომავლოდ ნბა-ს დონეზე ასვლა შევძლო. მწვრთნელს უკვე ვესაუბრე და წინასწარი გათვლებით, სამ ან ოთხ ნომრად ასპარეზობა მომიწევს. ჩემთვის ორივე პოზიცია ახლობელია, ამდენად, პრობლემა არ უნდა შემექმნას. იტალიაში საქართველოდან ჩინებულ ხასიათზე ჩამოვედი. ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა A დივიზიონის საგზური მოიპოვა, რისი წყალობითაც ქვეყანაში კალათბურთი ეროვნულ სახეობად ვაქციეთ. იმედი მაქვს, მაღალ დონეზე თამაშს მომავალშიც გავაგრძელებთ".

ახალი მწვრთნელი და ხაბარელის ულტიმატუმი

შოთა ხაბარელი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელობიდან გადააყენეს. გადაწყვეტილება საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა 11 სექტემბერს მიიღო და ხაბარელის შემცვლელის ვინაობაც იმავე დღეს დაასახელა.

"განთავისუფლების ბრძანებას ხელი უკვე მოვაწერე. შოთა ხაბარელი ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარაა. მის ადგილს მსოფლიოს ჩემპიონი ამირან ტოტიკაშვილი დაიკავებს, რომელიც სწორედ ხაბარელის აღზრდილია" - განაცხადა ხაბულიანმა.

16 სექტემბერს ფედერაციის პრეზიდენტმა დიღომში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს კომპლექსში ახალი მთავარი მწვრთნელი ჟურნალისტებს წარუდგინა და ტოტიკაშვილს უვადო კონტრაქტიც გაუფორმა. ტოტიკაშვილმა კი თავის მხრივ, ასაკობრივი ნაკრებების ახალი თავკაცები წარადგინა. ჭაბუკთა ნაკრები რამაზ ჩოჩიშვილმა ჩაიბარა, ხოლო ახალგაზრდული - სოსო ლიპარტელიანმა.

18 სექტემბერს იმავე კომპლექსში მას-მედიას უკვე შოთა ხაბარელმა უმასპინძლა და ფედერაციის მაღალჩინოსნების თანამდებობიდან დათხოვნა მოითხოვა. ხაბარელის პრესკონფერენციას ასაკობრივი ნაკრებების ექსმწვრთნელები, ეროვნული გუნდის მწვრთნელთა საბჭოს წევრები და ნაკრების წევრთა ერთი ჯგუფიც დაესწრნენ. ძიუდოისტებმა სპორტის მინისტრის თანდასწრებით ფედერაციის ხელმძღვანელებთან საუბარი მოითხოვეს და საამისო ვადაც წინასწარ დათქვეს.

"ისე გამოვიდა, რომ ყველაფერი ერთ კაცს დაბრალდა. დასასჯელი კი სინამდვილეში ძალიან ბევრია. თუკი უახლოეს ერთ კვირაში ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ კიმონოებს ფედერაციის მაღალჩინოსნებს დავუთმობთ და სამაგიეროდ მათგან ჩვენი განთავისუფლების ფურცლებს მოვითხოვთ" - განაცხადა ევროპის ვერცხლის პრიზიორმა ვარლამ ლიპარტელიანმა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

დავით ქართველიშვილის ხსოვნის ტურნირზე თბილისურმა წყვილმა იმარჯვა

19 სექტემბერს თბილისში, კუს ტბაზე გაიმართა პირველი ქართველი ლიბეროს და საქართველოს ვაჟ ფრენბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრის - დავით ქართველიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო ტურნირი პლაჟის ფრენბურთში სახელწოდებით - "ქართველა 2009". ტურნირის გამარჯვებული დავით ლიპარტელიანის და თენგიზ ჯანხოთელის წყვილი გახდა თბილისიდან.

აღნიშნული ტურნირი საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ინიციატივით გაიმართა, სადაც მონაწილეობდა 8 წყვილი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სასომხეთიდან.

I საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა დავით ლიპარტელიანის და თენგიზ ჯანხოთელის წყვილი თბილისიდან. II ადგილი წილად ხვდათ - არტურ ავეტისოვისა და თენგიზ ჯანხოთელის წყვილს, ხოლო III ადგილი სასომხეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა დაიკავეს.

გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ დათო ქართველიშვილის ოჯახის და მეგობრების მიერ დაწესებული სხვადასხვა ფულად პრიზები, მედლები, სიგელები და თასი I ადგილის მფლობელისათვის - "ქართველა 2009".

ტურნირის ორგანიზატორების და ფედერაციის პრეზიდენტის ლევან ახვლედიანის განცხადებით, აღნიშნული ტურნირი მიიღებს ყოველწლიურ ხასიათს. მომავალი წლიდან კი მას საერთაშორისო სტატუსიც მიენიჭება.

ტურნირის მონაწილეების განცხადებით "ქართველა 2009"-მ ჩაუყარა საფუძველი საკმაოდ საინტერესო ტრადიციას და იმედს გამოთქვავენ, რომ აღნიშნული ტურნირი უფრო გაიზრდება და დაიხვეწება გაისად, მასში მონაწილეობას უკვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ. ეს კი ხელს შეუწყობს ქართული ფრენბურთის პოპულარიზაციას.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

ქეცბაია ფეხბურთელებმა შეიწირეს

ცნობილი ბრიტანელი მწვრნელის გრემ სუნესის აზრით თემურ ქეცბაიას "ოლიმპიაკოსიდან" წასვლის მიზეზი ბერძნული კლუბის ფეხბურთელები გახდნენ.

"ოლიმპიაკოსის" გამოცდილი ფეხბურთელები კლუბის პრეზიდენტთან მივიდნენ და უთხრეს, რომ ქეცბაია მწვრთნელად არ სურდათ. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ამ გუნდში ძალაუფლება მოთამაშეებს აქვთ" -განაცხადა საუნესმა.

მესის ახალი კონტრაქტი

"ბარსელონასა" და ლიო მესის შორის არსებული კონტრაქტი 2014 წლამდე იყო გათვალისწინებული. კატალონიური გრანდის მესვეურებმა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკთესო ფეხბურთელთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივეს და არგენტინელსაც რეკორდული ხელფასი დაუნიშნეს.

აქამდე, სამხრეთამერიკელის "საბაზრო ფასად" 150 მილიონი ევრო სახელდებოდა, ახალი კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად კი, "ბარსა" თავის არგენტინელ ლიდერს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა, თუკი რომელიმე კლუბი მის სანაცვლოდ 250 მილიონ ევროს (368 მილიონი დოლარი) გადაიხდის.

მესიმ და ჟოან ლაპორტამ ხელშეკრულებას კლუბის ოფისში მოაწერეს, რის შედეგადაც ორივე მხარე აშკარად კმაყოფილი დარჩა - ლაპორტა 22 წლის ვარსკვლავის ერთგულებაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა, ხოლო არგენტინელი ახალმა კონტრაქტმა კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცია. სხვათა შორის, მესისთვის ჯამაგირის მომატების ფაქტი არც კატალონიელთა პრეზიდენტს დაუმალავს, თუმცა, თანხის კონკრეტული ოდენობის დასახელებისგან მან თავი შეიკავა. ესპანელმა მიმომხილველებმა კი, სანდო წყაროსგან შეიტყვეს, რომ ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი შემტევი ყოველწლიურად, გადასახადის გამოკლებით, 10,5 მილიონ ევროს (15,44 მილიონი დოლარი) მიიღებს.

"მესის გარეშე "ბარსელონა" ვეღარც კი წარმომიდგენია. იგი შესანიშნავი, უნიჭიერესი ფეხბურთელია, რომელსაც მოედანზე პრაქტიკულად ყველაფრის გაკეთება შეუძლია. გულშემატკივარი სტადიონზე ლამაზი ფეხბურთის სანახავად მოდის, მათთვის სიამოვნების მინიჭება კი, დღესდღეობით მესის ყველაზე უკეთ ეხერხება. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დონის მოთამაშესთან მიწევს მუშაობა. იგი ნამდვილი ფენომენია", - განაცხადა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კატალონიური გუნდის თავკაცმა ხოსეპ გვარდიოლამ.

მსოფლიო თავისუფლებით იწყება

გიგა გურასაშვილი

მოჭიდავეები დღეიდან ჩაერთვებიან საქმეში. საქმეს კი მსოფლიო ჩემპიონატთან მივყავართ, რომლის მასპინძლობაც ჰერნინგმა (დანია) ითავა. წესისამებრ თავდაპირველად ხალიჩაზე თავისუფლები გავლენ, მოგვიანებით ესტაფეტას ბერძენ-რომაელები ჩაიბარებენ. შესაბამისი გრაფიკის გათვალისწინებით ჯერ ზაზა თურმანიძის შეგირდებზე თქვათ, ბოლოს კი ბეგი დარჩიას სამწყსოზე.

თავისუფალთაგან ყველაზე ტიტულოვანი გიორგი გოგშელიძეა

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ჰერნინგში ბორჯომის ჰაერით გაჟღენთილი ფილტვებით გაემგზავრა, იქამდე კი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ის შემადგენლობა გაახმოვანა, რომელიც საკუთარ ძალებს მოსინჯავდა წლის უმთავრეს ასპარეზობაზე. ამ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ თურმანიძის რჩეულ შვიდეულში არ არიან პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი (84 კგ.) და იმავე თამაშების ბრინჯაოსანი ოთარ თუშიშვილი (66 კგ.). პეკინის მედალოსანთაგან ნაკრებში მხოლოდ გიორგი გოგშელიძეა (96 კგ.)

თურმანიძემ წასვლის წინ საკუთარი არჩევანის განმარტებისას თქვა, საერთაშორისო ტურნირებისა და შეკრებების შემდეგ გუნდი საუკეთესო მოჭიდავეებით დავაკომპლექტე. რაც შეეხებათ თუშიშვილსა და მინდორაშვილს, მათი არყოფნის უმთავრესი მიზეზი ტრავმიანობაო. ნაკრების მთავარი მწვრთნელი კმაყოფილი ჩანდა მოსამზადებელი ეტაპითაც - გეგმაზომიერი შეკრება გავიარეთ. საწუწუნო არაფერ მაქვს. ბიჭების ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილი ვარო. ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, ჰერნინგიდან თავისუფალთა წარმატებებს ველოდოთ.

ბერძენ-რომაელებმაც, ისევე როგორც თავისუფლებმა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის დასკვნითი შეკრება ბორჯომში გაიარეს. იქამდე მოსამზადებლად ბაკურიანისა და მინსკის შეკრებები და კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი გამოიყენეს.

საკუთარი სამწყსოს მზადყოფნას არც ბეგი დარჩია უჩივის: "გეგმაზომიერი მოსამზადებელი პერიოდი გამოგვივიდა. რაც მთავარია ბიჭები ნორმალურ ფორმაში არიან და ტრავმაც არავის აწუხებს".

საგულისხმო კი ისაა, რომ ნაკრების რჩელებიდან ოთხს - გოდერძი დავითაძეს (55 კგ.), რევაზ ლაშხს (60 კგ.), გენადი ცხადაიას (66 კგ.) და მძიმეწონოსან გურამ ფერსელიძეს მსოფლიოს ჩემპიონატზე აქამდე არ უასპარეზიათ.

საქართველოს თავისუფალთა ნაკრები:

55 კგ.
ბესიკ გუჩაშვილი
60 კგ.
მალხაზ ზარქუა
66 კგ.
შალვა მუზიაშვილი
74 კგ.
გელა საღირაშვილი
84 კგ.
ნიკოლოზ გაგნიძე
96 კგ.
გიორგი გოგშელიძე
120 კგ.
ალექსი მოდებაძე

საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები:

55 კგ.
გოდერძი დავითაძე
60 კგ.
რევაზ ლაშხი
66 კგ.
გენადი ცხადაია
74 კგ.
მანუჩარ კვირკველია
84 კგ.
ბადრი ხასაია
96 კგ.
რამაზ ნოზაძე
120 კგ.
გურამ ფერსელიძე

ფლეი-ოფის მონაწილეები ბოლო ტურმა გამოავლინა

შაბათს დასრულდა საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული სეზონი და გაირკვა იმ ოთხი გუნდის ვინაობა, რომელბიც ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას ფლეიოფში გააგრძელებენ. "ლელო", "ლოკომოტივი", "ვისოლ ყოჩები" და "ბათუმი".

"ლელოს" და "ლოკომოტივს" ფლეიოფის საგზურები რეგულარული სეზონის დასრულებამდე ჰქონდათ დაბევებული, ბოლო ტურში კი კიდევ ორი მონაწილის ვინაობა ირკვეოდა. შაბათს "ვისოლ ყოჩები" "ბათუმს" მასპინძლობდა და ფლენიოფში მოსახვედრად მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, თბილისურმა გუნდმა წარმატებას მიაღწია აი "ბათუმი" კი მარცხის მიუხედავად მოხვდჟა ფლეიოფში და ამაში ზღივსპირელებს ქუთაისის "აია" დაეხმარა, რომელმაც ბოლო ტურში "აკადემია" დაამარცხა და ბათუმელებს ფლეიოლფისკენ მიმავალ გზაზე მწვანეტ შუქი აუნთო.

რეგულარული სეზონი საბოლოოდ "ლელომ" მოიგო, რომელმაც უახლოესი მდევარი "ლოკომოტივი" მთელი 9 ქულით ჩამოიტოვა უკან.

რაც შეეხება ცხრილის ქვედა ნაწილს, ბოლო ტურში უპრინციპულესი იყო რუსთაველკლი "ხარებისა" და "უნივერსტეტის" მატჩი, რომელიც "ხარების" გამარჯვებით დასრულდა, შესაბამისად რუსთაველები უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ფლეიოფში ითამაშებენ, სტუდენტები კი ქვედა ლიგაში გადაბარგდნენ.

ტოჩინოშინი რეიტინგში დაქვეითების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა

ტოკიოში მიმდინარე სექტემბრის ბაშოზე ელიტარულ მაკუჩი დივიზიონში მოასპარეზე ორი ქართველი განსაკუთრებული წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. პირველი მაიგაშირას რანგში მოასპარეზე ტოჩინოშინს უკვე 6 მარცხი დაუგროვდა რაც შეეხება კოკაის მას რვა დღის შემდეგ ოთხი მოგება და ოთხი მარცხი აქვს.

უნდა ითქვას, რომ ტოჩინოშინმა პირველი ოთხი მარცხის შემდეგ ზედიზედ ორი ოძეკის დამარცხება მოახერხა, რამაც მის გულშემატკივარს იმედები გაუღვიძაბ თუმცა შაბათს და კვირას გამართული ორი დაპირისპირება ახალგაზრდა ქართველმა დათმო და ახლა იმისათვის, რომ რანგი შეინარჩუნოს დარჩენილი 7 ბრძოლიდან ექვსი აქვს მოსაგები, რაც პრაქტიკულად ალბათ შეუძლებელია და ესეგი ტოჩინოშინი რანგით დაქვეითდება.

კოკაიმ ბალანსი გაათანაბრა

კოკაიმ კი როგორც უკვე ავღნიშნეთ ოთხი ბრძოლის მოგება მოახერხა, არადა გამოცდილმა ქართველმა ბაშო საკმაოდ კარგად დაიწყო და ერთხანს დაუმარცხებლადაც ასპარეზობდა, თუმცა შემდეგ ზედიზედ წააგო სამი ბრძოლა და საკუთარი ბალანსი მხოლოდ მას შემდეგ გაათანაბრა, რაც გუშინ აღმოსავლეთის მეცხრე მაიგაშირა მაკონამის დამარპცხება შეძლო.

დღეს ბაშოს მეცხრე საასპარეზო დღე იმართება. კოკაი აღმოსავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა ტოჩიოზანს უნდა შეერკინოს, რომელსაც რვა დღის შემდეგ ხუთი გამარჯვება დაუგროვდა. ტოჩინოშინის მეტოქე კი დასავლეთის სეკივაკე კოტოშოგიკუ იქნება, მას ისევე როგორც ქართველს არც ისე სახარბიელო ვითარება აქვს, ტოჩინოშინის დღევანდელ მეტოქეს რვიდან ხუთი ბრძოლა აქვს წაგებული.

ახლა თავად ბაშოს მიმდინარეობაზეც ვთქვათ. სუპერტურნირმა უკვე გადალახა ეკვაქორი და მას ერთი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს, ბაშოს ვირტუალურ სატურნირო ცხრილს სათავეში იოკოძუნა ასოშორიუ უდგას, რომელმაც რვიდან რვა ბრძოლა მოიგო, იოკოძუნა ჰაკუჰოს კი ერთი დაპირისპირებქა აქვს წაგებული.

გაავდრებულ ჭაუხებზე

ავთანდილ ჭყვიშელი

არა, ნამდვილად არ გაუმართლა სტეფანწმინდას რაიონში, სოფელ ჯუთას თავზე აღმართულ ჭაუხების მასივის მწვერვალებზე ორმოცამდე მოლაშქრეს. ისინი ძირითადად მესტიის მკვიდრნი, აგრეთვე ყაზბეგის, გორისა და თბილისის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც იქ სპორტული კვალიფიკაციის ასამაღლებლად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის შოთა მირიანაშვილის მეთაურობით ასულიყვნენ, მაგრამ მათ ამინდი არ სწყალობდათ. თავდაპირველად მწვერვალ "გურამ თიკანაძეზე", სადაც მე-2a კატეგორიის სირთულის გზით ავიდნენ, ერთმანეთს წვიმა, სეტყვა და ძლიერი ცივი ქარი ენაცვლებოდა. მერე "თიკანაძის" მეზობლად აღმართულ მწვერვალ "ექვთიმე თაყაიშვილზე", რომელიც მე-2b კატეგორიის სირთულის გზით დალაშქრეს, ამინდმა დაინდო მთამსვლელები, თუმცა მისი სიმაღლიდან ბუნების გრანდიოზული პეიზაჟით ტკბობა დიდ ხანს არ დასცალდათ, რადგან სულ მალე არე-მარე შედედებულ რძესავით სქელ ნისლში შთაინთქა. ბოლოს მოლაშქრეებმა ისევ მე-2b

გაავდრებულ ჭაუხებზე

კატეგორიის მარშრუტით ამ მწვერვალთა ტრავერსი კვლავ სქელ ნისლში განახორციელეს, მაგრამ დაშვებისას ისევ გაავდრდა და ბანაკში კვლავ მთლად გალუმპულები დაბრუნდნენ.

უშუალოდ ასვლებს შოთა მირიანაშვილთან ერთად სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სპორტის აკადემიის პროფესორი აკაკი (ხუტა) ხერგიანი ხელმძღვანელობდა, სამაშველო სამსახურს კი, ისევე როგორც მანამდე გამართულ სამ ალპინიადას, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი დიმიტრი (მიტო) დანგაძე მეთაურობდა. ისინი ამ ოთხივე ლაშქრობისას ყოველდღე გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ ზეცას და ამბობდნენ, გაბმულად ასეთი ავდარი კავკასიონზე არსად გვახსოვსო. შეწუხებულნი იყვნენ ჯუთას მკვიდრნიც, წლეულს ნაადრევად გვიზამთრდებაო, განსხვავებით კი ბოლოს შეიკრეს კოპები, როცა ჭაუხებზე ჩამოთოვა და ირგვლივ აღმართული მთა-გორები, სადაც საქონელს საძოვარზე მიერეკებიან, მთლად გადათეთრდა, მთამსვლელთა კარვებს კი დღე და ღამ გადაუღებლად აწვიმდა და აწვიმდა. ამიტომაც მოლაშქრეებმა თავიანთ გეგმებს ბოლომდე ვერ შეასხეს ფრთები - სხვა მწვერვალებზე, "ფიროსმანსა" და "ლადო ასათიანზე" მე-3, მე-4 კატეგორიის სირთულის გზებით ასვლაზე ხელი აიღეს. ერთადერთი დღე, ამინდმა რომ ბოლომდე მოწყალედ გადმოხედა მთამსვლელებს, მეორე იყო, როცა მათ პიტალო კლდეებზე მეკლდეურობაში ვარჯიშით გული იჯერეს.

ასე იყო თუ ისე, ამ ლაშქრობათა ბოლოს ზოგი "ალპინიზმის ნიშნოსანი" გახდა, ზოგმა მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულა, ნაწილს ამგვარ მიზნამდე თითო ასვლაღა დააკლდა, სხვებმა კი უფრო კვალიფიციურებმა, გამოცდილება გაიმდიდრეს და მუხლიც მეტად გაიმაგრეს.

ასე რომ, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული ეს ჭაუხური ასვლები, საერთო ჯამში მაინც ნაყოფიერი გამოდგა.

"რედ ბულის" საჩუქარი საქართველოს

ანუ, აბსოლუტური სიგიჟე ჰაერში

უჩვეულო შოუ, რომელიც შაბათ საღამოს თბილისელებმა თავისუფლების მოედანზე, სახელდახელოდ მოწყობილ მოტოდრომზე იხილეს, "რედ ბულის" საჩუქარია, რომელმაც მართალია მოკრძალებულად, მაგრამ საქართველო მაინც გარია სპორტის შედარებით ახალი, თუმცა ამის მიუხედავად, მთელს მსოფლიოში მზარდი პოპულარობით გამორჩეული სახეობის - "ფრისტაილ მოტოქროსის მარაქაში.

შოუზე, სახელწოდებით "რედ ბულ იქს ფაიტერს იქსჰიბიშნ ტურ", მოკრძალებული მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობა იყო. თბილისში სულ სამი თავზეხელაღებული მოტოქროსმენი ჩამოვიდა, მაგრამ თავისუფლებაზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, თქვენი მოწონებული. მათ გამოსვლებს შორის კი მრავალრიცხოვან მაყურებელს ბელარუსიდან ჩამოსული ცნობილი ჯგუფი დრამ ექსტაზი ახურებდა.

თბილისელები ექსტრემალური მოტოსპორტის (მოტოსპორტი ხომ ისედაც ექსტრემალურია) ხელოვნებას აზიარეს: 28 წლის ახალზელანდიელმა ნიკ ფრანკლინმა, 29 წლის შვედმა მორგან კარლსონმა (ვისაც თავზეხელაღებული ტრიუკების გამო თავნება კატას ეძახიან) და ყველაზე ტიტულოვანმა, 27 წლის ბელგიელმა სტივენ სტუივენმა, ვინც თავისუფალ მოტოქროსში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია.

სანახაობა ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორსაც ველოდით. ეგაა, ხალხი მხოლოდ ჰაერში მფრენ მოტორიან მხედრებს ხედავდა, თუმცა მთავარი ალბათ ეს იყო, რადგან რა ხდებოდა ხმელეთზე, უფრო სწორედ, სპეციალურ დასაშვებ "გორაკზე", ეს უკვე საინტერესო აღარ იყო. ყველაფერს კი ყველაზე უკეთ ის მაყურებელი ხედავდა, რომელიც რისკს არ მოერიდა და ტრიბუნად გარშემო მდგარ შენობათა სახურავები გამოიყენა.

მაყურებელს ცეცხლს შოუს წამყვანი ნიკა გრიგოლიაც უნთებდა, რომელმაც მოტორიანი მხედრებისთვის ყველაზე შესაფერის კომპლიმენტად "არანორმალური" აირჩია (ვის მოუბრუნდება ენა, ეს კომპლიმენტი დააკნინოს, ისინი ხომ მართლაც არანორმალურად ვირტუოზულები არიან). და თავადაც, იმ დროს, როდესაც შოუს მთავარი გმირები სულის მოსათქმელად ჩერდებოდნენ, ნამდვილი არანორმალურივით ახერხებდა ცოტა ხნით "მიძინებული" მაყურებლის გამოღვიძებას და ახმაურებას.

მოკლედ, მის მიწურულს წამოსული კოკისპირულის მიუხედავად, შოუ შედგა, "რედ ბული" კი, რომლისთვისაც ეს მოტორიზებული წარმოდგენა ჩვეულებრივი სარეკლამო და პრომო აქცია იყო, წინილების თვლას დღეიდან დაიწყებს - ეჭვიც ნურავის შეეპარება, რომ გუშინ საღამოს, თავისუფლებაზე მყოფი მაყურებლის უმეტესობა დღეს სუპერმარკეტებში "რედ ბულის" ენერგეტიკულ სასმელს მოიკითხავს.

რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ მსგავსი შოუების ხილვის სიამოვნებას "რედ ბული" მომავალშიც არ მოგვაკლებს. პირადად მე კი ერთ სურვილს (გინდათ, ოცნება დაარქვით) გაგიმხელთ - რა იქნება, თუ იმავე "რედ ბულის" მოწადინებით, ერთ მშვენიერ შაბათ საღამოსაც, რუსთაველზე ფორმულა 1-ის ავტომობილის ხმასაც გავიგებთ?..

მერაბ ლორთქიფანიძე
http://formula1ge.blogspot.com/

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

2009-2010 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილების
(149, 2009 წლის 14 აგვისტო, ქ. თბილისი) მიხედვით

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილია **1 073 000** ლარი. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ იმ სტუდენტმა, რომელიც 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვერ მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა.

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს:

- 150 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მესტია, ლენტეხი, ონი, ქედა, ხულო, შუახევი, ყაზბეგი, დუშეთი - (ბარისახო, შატილი, ქვეშეთი, მლეთა, მაღაროსკარი და გუდამაყრი), ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დმანისი, ახმეტა- (პანკისის ხეობა, ზემო და ქვემო ალვანი).
- 180 სტუდენტს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის მუნიციპალიტეტი, ცხინვალის რეგიონი - ქურთა, ერედვი, ახალგორი და სოფელი პერევი), ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე მე-10 და მე-11 კლასებში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმეტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
- 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- 45 სტუდენტს, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;
- 5 სტუდენტს, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;
- 30 სტუდენტს, რომლებიც არიან ობლები (უდედმამო), ან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;
- 6 სტუდენტს, რომლებიც არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად, ასევე დაფინანსდებიან:

- 2008 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;
- 2009 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

დაფინანსების მოსაპოვებლად მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (მის: ქ.თბილისი, უზნაძის №52).

განცხადებები მიიღება 2009 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით.

განცხადებებს იხილავს შესაბამისი კომისია.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 43 88 53 ან სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge იხილეთ: *საქართველოს მთავრობის დადგენილება N 149 2009 წლის 14 აგვისტო ქ. თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 07 სექტემბრის N736 ბრძანება.*

მის საქართველო
2009 MISS GEORGIA

Image CENTRE

SUZUKI Way of Life!

იმიჯ-ცენტრი იწვევს 17-25 წლამდე ასაკის გოგონებს მის საქართველო 2009 -ში მონაწილეობის მისაღებად.

გახდი მის საქართველო!

მოიგე მთავარი პრიზი ახალი ავტომობილი სუზუკი სელერიო და გაემგზავრეთ სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე.

მის საქართველო 2009, ფინალური შოუ, ბათუმი 11 ოქტომბერი

დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით:
თბილისი ნიკო ნიკოლაძის №6, ტელ.: 98 51 48, 20 00 20, 855 95 90 25

www.missgeorgia.ge www.imagecentre.ge

kikala studio · SELA · AXARA · Sinéquanone · Media group · 24 საათი

განცხადება

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე:

- გინეკოლოგი
- ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი
- ბავშვთა ნევროლოგი
- მამოგრაფიის სპეციალისტი
- ნეფროლოგი
- უროლოგი
- დერმატოლოგი
- კარდიოლოგი
- ოფთალმოლოგი
- რევმატოლოგი

მოთხოვნები:

- სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
- პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 ოქტომბრამდე

მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ N20

ტელ: 91 31 19;
91 32 42

თვალის მიკროქირურგიის
ჟ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8

გლოკით

SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის
უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

GEONET myhost

შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge

3 თვე უფასო
ჰოსტინგი

470000
info@myhost.ge

აქცია